

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული მოგება–ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი	6
3. საოპერაციო გარემო.....	8
4. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა	9
5. მნიშვნელოვანი საადრიცხო განსჯა და შეფასება.....	20
6. ძირითადი საშუალებები	21
7. სხვა გრძელვადიანი აქტივები	22
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
9. კაპიტალი.....	23
10. ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები	25
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულება	27
12. ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან.....	27
13. ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები.....	27
14. პროფესიული გასამრჯელო	27
15. სხვა არასაოპერაციო ხარჯები.....	27
16. ფინანსური დანახარჯები	28
17. არარეგულარული ხარჯი, წმინდა	28
18. პირობითი ვალდებულებები	29
19. ფინანსური ინსტრუმენტები.....	29
20. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....	33
21. იჯარა.....	35

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ აქციონერს და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი), და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხებად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომლებიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ. ქვემოთ თითოეული საკითხისთვის მოცემული განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოადგენილია ჩატარებული აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“, აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რომელთა მიზანიც იყო რეაგირება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების ჩვენ მიერ შეფასებულ რისკებზე. ჩვენი აუდიტორული პროცედურების, მათ შორის ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები, წარმოადგენს თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

აუდიტის ძირითადი საკითხები	როგორ მივუდექით აუდიტის ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
მომზადების საფუძველი და ჯგუფის ფორმირების აღრიცხვა	
კომპანია დაფუძნდა 2022 წლის ივნისში ენერგეტიკული სეგმენტის გამოყოფის მიზნით თავისი ყოფილი მშობელი კომპანიისგან - სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“-ისგან, რომელმაც 2022 წლის ოქტომბერში კომპანიას გადასცა თავისი ენერგეტიკული სეგმენტის შვილობილი კომპანიები (შემდგომში „ჯგუფის ფორმირება“). კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ითვლება სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ადრე არსებული ენერგეტიკული ბიზნესის გაგრძელებად.	ჩვენ წავიკითხეთ და განვიხილეთ ჯგუფის მიერ ჯგუფის ფორმირებასთან დაკავშირებით გაფორმებულ საბაზისო სამართლებრივი დოკუმენტები.
წინამდებარე კონსოლიდირებული	ჩვენ შევავსეთ კონსოლიდირებული 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და ჯგუფის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, მათ შორის შედარებადი ინფორმაციის წარდგენასთან დაკავშირებით, ჯგუფის ფორმირების ფაქტების და ვითარებების გათვალისწინებით.
	ჩვენ გადავიანგარიშეთ გატარებული საჟურნალო ჩანაწერები ჯგუფის ფორმირების

აუდიტის ძირითადი საკითხები	როგორ მივუდევით აუდიტის ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
ფინანსური ანგარიშგების მომზადების შესაბამისი საფუძვლის განსაზღვრასა და ზემოთ აღწერილი ჯგუფის ფორმირების აღრიცხვასა და წარდგენაში ჩართული იყო მნიშვნელოვანი განსჯა, რაც ჩვენი აუდიტის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ჯგუფის ფორმირების და მომზადების საფუძვლის შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 1-ელ და მე-2 შენიშვნებში.	და კომპანიისთვის ენერგეტიკული ბიზნესის შვილობილ კომპანიების გადაცემის აღსარიცხად. ჩვენ შევაფასეთ ჯგუფის ფორმირებასთან დაკავშირებით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები.
ნასესხებ სახსრებთან და გამოშვებულ ობლიგაციებთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვა	
ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებების არსებით ნაწილს, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაშია აღიარებული. 2022 წელს ჯგუფმა განახორციელა რამდენიმე არსებითი გარიგება ნასესხებ სახსრებთან და გამოშვებული ობლიგაციებთან დაკავშირებით, მათ შორის დაფარვები, ახალი ობლიგაციების გამოშვება და სესხების კაპიტალში გარდაქმნა. ნასესხები სახსრების და გამოშვებული ობლიგაციების ნაშთების მნიშვნელობა, შესაბამისი გარიგებების მოცულობა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრაში ჩართული მსჯელობა დაუფარავი ნასესხებ სახსრებისა და გამოშვებული ობლიგაციებისთვის, ასევე სესხების კაპიტალში გარდაქმნის აღრიცხვა, ნასესხები სახსრებთან და ობლიგაციებთან დაკავშირებულ გარიგებებს ჩვენი აუდიტის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად აქცევს.	ჩვენ შევაფასეთ ნასესხები სახსრების და გამოშვებული ობლიგაციების პირობები, მათ შორის მათი ოდენობა, საპროცენტო განაკვეთები, გადახდის გრაფიკები და ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები. ჩვენ შევაფასეთ ნასესხები სახსრებისა და გამოშვებული ობლიგაციებისთვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებაში შესული ტრანზაქციის ხარჯები. ჩვენ გადავიანგარიშეთ ნასესხები სახსრებისა და გამოშვებული ობლიგაციების ამორტიზებული ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ შევაფასეთ სესხების კაპიტალში გარდაქმნის გარიგების პირობები. ახლად წარმოშობილი ან 2022 წლის განმავლობაში დაფარული ნასესხები სახსრების და ობლიგაციებისთვის, ჩვენ შევადარეთ შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობები დამხმარე დოკუმენტაციას.

აუდიტის ძირითადი საკითხები	როგორ მივუდევით აუდიტის ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
ინფორმაცია ნასესხები სახსრებისა და გამოშვებული ობლიგაციების შესახებ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მე-10 შენიშვნაშია წარმოდგენილი.	ჩვენ შევაფასეთ ნასესხებ სახსრებსა და გამოშვებულ ობლიგაციებთან, ასევე შესაბამის გარიგებებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებაში.

ჯგუფის 2022 წლის მმართველობით ანგარიშებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის 2022 წლის მმართველობით ანგარიშებაში, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ჯგუფის 2022 წლის მმართველობითი ანგარიშება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება აუდიტორის წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის და აუდიტის კომიტეტის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

აუდიტის კომიტეტთან, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, აუდიტის კომიტეტს წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

აუდიტის კომიტეტისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია რუსლან ხოროშვილი.



რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

2023 წლის 29 მარტი

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	252,011	300,597
აქტივის გამოყენების უფლება	21	1,120	1,254
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7	1,079	1,143
სულ გრძელვადიანი აქტივები		254,210	302,994
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		335	406
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,678	2,366
გაცემული სესხები		8	14
წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		908	1,262
ანაზღაურებადი აქტივები	6	2,022	2,318
სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივები	20	–	8,122
გადახდილი ავანსები		131	369
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	19	12,370	36,948
სულ მოკლევადიანი აქტივები		17,452	51,805
სულ აქტივები		271,662	354,799
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	9	232	–
შერწყმის რეზერვი	9	–	84,664
დამატებით შეტანილი კაპიტალი	9	148,513	–
დაგროვილი ზარალი		(58,995)	(60,135)
სხვა რეზერვები		(41,641)	18,305
სულ კაპიტალი		48,109	42,834
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები	10	213,201	297,648
საიჯარო ვალდებულებები	21	990	1,191
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	17	480	550
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		214,671	299,389
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები	10	7,512	9,680
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	11	1,173	972
საიჯარო ვალდებულებები	21	112	118
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17	85	1,185
საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა		–	621
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		8,882	12,576
სულ ვალდებულებები		223,553	311,965
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		271,662	354,799

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ სახელით 2023 წლის 29 მარტს:

ზურაბ გორდეზიანი
გენერალური დირექტორი
5-35 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ნანა მშვიდლობაძე
ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	252,011	300,597
აქტივის გამოყენების უფლება	21	1,120	1,254
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7	1,079	1,143
სულ გრძელვადიანი აქტივები		254,210	302,994
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		335	406
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,678	2,366
გაცემული სესხები		8	14
წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		908	1,262
ანაზღაურებადი აქტივები	6	2,022	2,318
სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივები	20	–	8,122
გადახდილი ავანსები		131	369
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	19	12,370	36,948
სულ მოკლევადიანი აქტივები		17,452	51,805
სულ აქტივები		271,662	354,799
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	9	232	–
შერწყმის რეზერვი	9	–	84,664
დამატებით შეტანილი კაპიტალი	9	148,513	–
დაგროვილი ზარალი		(58,995)	(60,135)
სხვა რეზერვები		(41,641)	18,305
სულ კაპიტალი		48,109	42,834
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები	10	213,201	297,648
საიჯარო ვალდებულებები	21	990	1,191
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	17	480	550
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		214,671	299,389
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები	10	7,512	9,680
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	11	1,173	972
საიჯარო ვალდებულებები	21	112	118
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17	85	1,185
საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა		–	621
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		8,882	12,576
სულ ვალდებულებები		223,553	311,965
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		271,662	354,799

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ სახელით 2023 წლის 29 მარტს:

ზურაბ გორდეზიანი
გენერალური დირექტორი

ნანა მშვიდლობაძე
ფინანსური დირექტორი

5–35 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან	12	42,221	43,309
საქმიანობის შეფერხების ანაზღაურებით მიღებული შემოსულობა	6	–	587
სხვა ამონაგები		–	55
სულ ამონაგები და შემოსულობა		42,221	43,951
ელექტროენერგიის და გადაცემის ხარჯები		(548)	(524)
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	13	(1,334)	(929)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(2,197)	(2,480)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(353)	(329)
პროფესიული გასამრჯელო	14	(621)	(732)
ნედლეული, საწვავი და სხვა სახარჯი მასალები		(371)	(285)
ტექნომსახურების ხარჯი		(2,237)	(2,631)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(1,701)	(1,963)
		(9,362)	(9,873)
EBITDA		32,859	34,078
ფინანსური შემოსავალი		898	1,293
ფინანსური დანახარჯები	16	(21,851)	(24,873)
წმინდა საკუროსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა/(ზარალი)		26	(25)
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7,21	(10,566)	(12,580)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	6	–	(36,595)
ევროზონიზაციების რეფინანსირებასთან დაკავშირებული შეფასებების ხელახლა შეფასება	10	–	(2,766)
არარეგულარული ხარჯი, წმინდა	17	(226)	(4,050)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე		1,140	(45,518)
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის მოგება/(ზარალი)		1,140	(45,518)
სხვა სრული ზარალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება			
წარსადგენ ვალუტად კონვერტაციიდან წარმოშობილი საკუროსო სხვაობები		(5,192)	(4,129)
წმინდა სხვა სრული ზარალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება		(5,192)	(4,129)
წლის სხვა მთლიანი სრული ზარალი		(5,192)	(4,129)
წლის მთლიანი სრული ზარალი		(4,052)	(49,647)

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი	შერწყმის რეზერვი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	სხვა რეზერვები	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	104,664	–	22,434	(14,617)	112,481
წლის ზარალი	–	–	–	–	(45,518)	(45,518)
სხვა სრული ზარალი	–	–	–	(4,129)	–	(4,129)
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	–	–	(4,129)	(45,518)	(49,647)
შერწყმის რეზერვის შემცირება (მე-9 შენიშვნა)	–	(20,000)	–	–	–	(20,000)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	84,664	–	18,305	(60,135)	42,834
წლის მოგება	–	–	–	–	1,140	1,140
სხვა სრული ზარალი	–	–	–	(5,192)	–	(5,192)
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	–	–	(5,192)	1,140	(4,052)
კომპანიის რეგისტრაცია (მე-9 შენიშვნა)	100	(84,664)	–	84,664	–	100
ენერგეტიკული შვილობილი საწარმოების შენატანი (მე-9 შენიშვნა)	100	–	226,165	(226,265)	–	–
სააქციო კაპიტალის შემცირება (მე-9 შენიშვნა)	(68)	–	(104,921)	86,847	–	(18,142)
სააქციო კაპიტალის ზრდა (მე-9 შენიშვნა)	100	–	27,269	–	–	27,369
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	232	–	148,513	(41,641)	(58,995)	48,109

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		1,140	(45,518)
<i>კორექტირება:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7,21	10,566	12,580
საკუროს სხვაობით განპირობებული წმინდა (შემოსულობა)/ზარალი		(26)	25
ფინანსური შემოსავალი		(898)	(1,293)
ფინანსური დანახარჯები	16	21,851	24,873
საქმიანობის შეფერხების ანაზღაურებით მიღებული შემოსულობა	6	–	(587)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	6	–	36,595
არარეგულარული ხარჯი, წმინდა		226	3,381
გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა		–	(568)
ევროზონიზაციების რეფინანსირებასთან დაკავშირებული შეფასებების ხელახლა შეფასება	10	–	2,766
<i>საბრუნავი კაპიტალის ცვლილება</i>			
ცვლილება მარაგებში		71	(41)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		688	(604)
ცვლილება ავანსად გადახდილ გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა		354	178
ცვლილება გადახდილ ავანსებში		238	(85)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		201	(842)
ცვლილება ანაზღაურებად აქტივებში		–	587
ცვლილება სხვა საგადასახადო ვალდებულებაში, წმინდა		(621)	(428)
საოპერაციო ფულადი ნაკადები სავაჭრო ფასიან ქაღალდებში ინვესტირებამდე		33,790	31,019
ცვლილება სავაჭრო ფასიან ქაღალდებში		6,807	(8,308)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		40,597	22,711
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა		(2,725)	(7,055)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		1,325	–
შრომითი საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებული ზონუსის გადახდა		(1,306)	–
დაფარული სესხები (გაცემული)		(10,485)	146
მიღებული პროცენტი		681	897
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(12,510)	(6,012)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების ძირითადი თანხის გადახდა		(63)	(231)
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან და გამოშვებული ობლიგაციებიდან	10	483,201	2,525
ნასესხები სახსრების და გამოშვებული ობლიგაციების დაფარვა	10	(500,444)	–
გადახდილი პროცენტი	10	(25,855)	(23,754)
სააქციო კაპიტალის ზრდა	9	100	–
სააქციო კაპიტალი და შერწყმის რეზერვის კლება	9	(6,450)	(20,000)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(49,511)	(41,460)
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი		(3,154)	(1,553)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ცვლილება		(24,578)	(26,314)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	19	36,948	63,262
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	19	12,370	36,948

არსებითი არაფულადი ოპერაციები განხილულია მე-9 და მე-10 შენიშვნებში.

1. კორპორაციული ინფორმაცია

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ (შემდგომში „GRPO“ ან „კომპანია“) არის 2022 წლის 28 ივნისს დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. კომპანია არის კომპანიების ჯგუფის ჰოლდინგური საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია და მდებარეობს საქართველოში (შემდგომში „ჯგუფი“). კომპანიის იურიდიული მისამართია მედეა (მზია) ჯუღელის ქ. #10, 0179, თბილისი, საქართველო. კომპანია უფრო დიდი ჯგუფის სს „საქართველოს კაპიტალის“ (შემდგომში „GCAP“) ნაწილია, რომელიც საქართველოში დაფუძნებული საინვესტიციო საწარმოა და ფლობს ინვესტიციებს სხვადასხვა შვილობილ საწარმოში საქართველოში.

ჯგუფის ბიზნესი წარმოადგენს ჰიდროელექტრო სადგურების და ქარის ელექტროსადგურის სამუშაო პლატფორმას ქვეყანაში. ბიზნესი ამუშავებს ექსპლუატაციაში შესულ განახლებად აქტივებს 71 მგვტ დადგმული სიმძლავრით, მთლიანობაში: 30 მგვტ–იანი ჰიდროელექტრო სადგური მესტიაჭალა 2, 20 მგვტ–იანი ჰიდროელექტროსადგურები და 21 მგვტ–იანი ქართლის ქარის ელექტროსადგური.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-ის მფლობელია სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი“ (შემდგომში „GRPH“ ან „მშობელი საწარმო“), რომლის 100%-ის მფლობელია „GCAP“. „GCAP“-ის 100%-ის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „Georgia Capital“ (შემდგომში „საბოლოო მშობელი საწარმო“), ინგლისში რეგისტრირებული და ლონდონის საფონდო ბირჟაზე აღრიცხული იურიდიული პირი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „GCAP“ 100%-ს ფლობდა სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმი“ (შემდგომში „GGU“ ან „ყოფილი მშობელი საწარმო“), რომელიც საქართველოში დაფუძნებული ჰოლდინგური კომპანია იყო და ფუნქციონირებდა რამდენიმე შვილობილი საწარმოთი, ორ საოპერაციო სეგმენტში გაყიდული პროდუქტების და გაწეული მომსახურებების მიხედვით: (1) ელექტროენერგიის გამომუშავება და გაყიდვა (სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმის“ ენერგეტიკული სეგმენტი) და (2) წყალმომარაგების და წყალარინების მომსახურებები („GGU“-ის კომუნალური წყალმომარაგების სეგმენტი).

2021 წლის 31 დეკემბრის შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „Georgia Capital“-მა გამოაცხადა, რომ „GCAP“ მიყიდდა სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმის“ კომუნალური წყალმომარაგების სეგმენტში მის საწყის 80%-იან წილს FCC Aqualia-ს (შემდგომში „Aqualia“) ორ-ეტაპიანი გარიგებით.

2022 წლის 3 თებერვალს, „GCAP“-ის მიერ გაყიდვებიდან შემოსულობის სრულად მიღებით და შესაბამისი წილის სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმისთვის“ გადაცემით დასრულდა კომუნალური წყალმომარაგების ბიზნესის გაყიდვის გარიგება. შესაბამისად „Aqualia“ სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმის“ ახალი მაკონტროლებელი აქციონერი გახდა.

გარიგების მეორე ეტაპი 2022 წლის მესამე კვარტალში „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმის“ მიერ გამოშვებული 250 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით ევრო ობლიგაციების გამოსყიდვას მოჰყვა, რომელიც ფინანსდება „Aqualia“-ს და „GCAP“-ის მიერ აქციონერული სესხით „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმი“ მათი წილების პროპორციულად. ობლიგაციების გამოსყიდვის და საწარმოს გამოყოფის გზით საოპერაციო განახლებადი ენერგიის აქტივების გაყოფის შემდეგ, „GCAP“-მა აღადგინა ჯგუფის განახლებადი ენერგეტიკული აქტივების სრული მფლობელობა, ხოლო „Aqualia“-ს საკუთრების უფლება კომუნალური წყალმომარაგების ბიზნესში 80%-ით გაიზარდა.

ზემოთ ხსენებულის შესაბამისად, 2022 წელს სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმი“ და მისმა შვილობილმა საწარმოებმა (შემდგომში „GGU“-ის ჯგუფი) წამოიწყეს ჯგუფის ფორმირება „GGU“-ის ენერგეტიკული სეგმენტის აქტივების ნაწილის „GCAP“-სთვის გადაცემის მიზნით. 2022 წლის ივნისში სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმი“ დააფუძნა 100%-იანი შვილობილი საწარმო სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ და 2022 წლის ოქტომბერში სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმის“ ენერგეტიკული სეგმენტის შვილობილები გადაიტანა სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციებში“, ამ უკანასკნელის მიერ მისი წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვების სანაცვლოდ. ჯგუფის ფორმირების ეფექტი წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველზე განხილულია მე-2 შენიშვნაში.

2022 წლის ოქტომბერში სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციებმა“ დაასრულა საქართველოს სააქციო ბირჟაზე რეგისტრირებული 80 მილიონი აშშ დოლარის უზრუნველყოფილი მწვანე ობლიგაციების გამოშვება.

2. მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობაზე

ჯგუფის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებებს საფუძველზე, გარდა სავაჭრო ფინანსური აქტივებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება მოგებაში ან ზარალში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფმა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა იმ საფუძველზე, რომ ის განაგრძობს მუშაობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

კონსოლიდაციის საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ ჯგუფს აქვს ინვესტირებულ საწარმოზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევს ინვესტირებული საწარმოს რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ▶ ის იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტირებულ საწარმოში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- ▶ შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტირებულ საწარმოზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების გასამყარებლად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში ფლობს ხმის ან სხვა მსგავსი უფლების უმრავლეს ნაწილზე ნაკლებს, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ▶ სახელშეკრულებო შეთანხმება (შეთანხმებები) ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე სხვა პირებთან;
- ▶ სხვა სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან მიღებული უფლებები;
- ▶ ჯგუფის ხმის უფლებებს და პოტენციური ხმის უფლებებს.

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ საწარმოს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს მასზე კონტროლს და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს ამგვარ კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლის ყოველი კომპონენტი უკავშირდება ჯგუფის მშობელი საწარმოს აქციონერებს. საჭიროების შემთხვევაში შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებები კორექტირდება მათი სააღრიცხვო პოლიტიკის ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ჯგუფის წევრებს შორის შემდგომ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი საწარმოს საკუთრების წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების (გუდვილის ჩათვლით), ვალდებულებების, არამაკონტროლებელი წილის და საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებულ შემოსულობას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

ინფორმაცია შვილობილი საწარმოების შესახებ

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ საწარმოებს:

	რეგისტრაციის ქვეყანა	შეძენის / დაფუძნების თარიღი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სს „სვანეთი ჰიდრო“	საქართველო	2017 წლის 20 აპრილი	100%	100%
შპს „ჰიდროლესა“:	საქართველო	2019 წლის 28 ოქტომბერი	100%	100%
შპს „ჯეო ენერჯი“	საქართველო	2019 წლის 28 ოქტომბერი	100%	100%
შპს „ჰიდრო ჯორჯია“	საქართველო	2019 წლის 28 ოქტომბერი	100%	100%
შპს „კასლეთი 2“	საქართველო	2019 წლის 28 ოქტომბერი	100%	100%
შპს „დარჩი“	საქართველო	2019 წლის 28 ოქტომბერი	100%	100%
შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“	საქართველო	2019 წლის 31 დეკემბერი	100%	100%

შედარებადი ინფორმაციის განცალკევების და კომბინირების საფუძველი

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მიიჩნევა სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ენერგეტიკული სეგმენტის გაგრძელებად (როგორც ზემოთ არის აღწერილი). წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შედარებადი ინფორმაცია შეესაბამება სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ენერგეტიკული სეგმენტის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, რომელიც გამოსაცემად 2022 წლის 5 აგვისტოს დამტკიცდა.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია წინა პერიოდის კონსოლიდირებული ინფორმაცია, რომელიც მომზადდა კომბინირებული საწარმოების ფინანსური ანგარიშგებიდან, იმ დაშვებით, რომ სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ დაფუძნდა და ჯგუფის ფორმირება დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, და რომ სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღი ემთხვევა სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ფასს სტანდარტებზე გადასვლის საწყის თარიღს. ზემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემული სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ენერგეტიკული სეგმენტის შვილობილი საწარმოების აქტივები და ვალდებულებები აღიარებულია მათი საბალანსო ღირებულებით, სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად, ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, მათი საერთო კონტროლს ქვეშ ყოფნის დროს, კონკრეტული განაწილების კორექტირების შესაბამისად, რაც ქვემოთ არის აღწერილი:

- 1) 2020 წლის ივლისის თვეში სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ მიერ 250 მილიონი ევრო ობლიგაციების გამოშვების შემდეგ, მისი შემოსულობა სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ შვილობილი საწარმოების არსებული მესამე მხარის ვალის რეფინანსირებისთვის გაიხარჯა, სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ მიერ გაცემული კომპანიის შიდა სესხებით. სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციებმა“ აღიარა სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ 2020 წლის 250 მილიონი ევრო ობლიგაციის 98,3 მილიონი აშშ დოლარის და 97,2 მილიონი აშშ დოლარის განაწილება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ამ გადანაწილებულ ვალზე მიკუთვნებადი ფინანსური დანახარჯები შესაბამისად აღიარდა კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაშია განსაზღვრული და სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ევრო ობლიგაციების გამოშვებიდან შემოსულობა და ევრო ობლიგაციებზე განხორციელებული შემდგომი კუპონური ფულადი გადახდების წილი წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის. სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ევრო ობლიგაციებთან მიმართებით სს „სვანეთი ჰიდროს“, შპს „ჰიდროლესას“ და შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ მიერ გაცემულ ფინანსურ გარანტიებზე ვალდებულება არ აღიარებულა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულებების ორმაგი აღრიცხვის თავიდან ასაცილებლად.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- 2) 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 8,122 ლარის სავაჭრო ფინანსური აქტივები და სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ მიერ გამოყოფილი ფულადი ბალანსები აღიარდა კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რაც მოიცავს სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ენერგეტიკულ სეგმენტზე მიკუთვნებად ფულად სახსრებს და სხვა ლიკვიდურ აქტივებს.
- 3) სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ჰოლდინგური კომპანიის კონკრეტული საოპერაციო დანახარჯების გადანაწილება, რომელიც 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მთლიანობაში 201 ლარს და 332 ლარს შეადგენდა (შესაბამისად), წარმოადგენდა ენერგეტიკულ ბიზნესთან მიკუთვნებად წილს სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ჰოლდინგური კომპანიის მიერ საქმიანობის წარმოებაზე გაწეულ მიმდინარე დანახარჯებში.
- 4) სხვაობა ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, რომლებიც ზემოთ არის განსაზღვრული, წარმოდგენილია საკუთარი კაპიტალის სახით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ ჯერ არ იყო დაფუძნებული, ამ თარიღისთვის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სააქციო კაპიტალი არ არის წარმოდგენილი. ამის ნაცვლად, ჯგუფმა შერწყმის რეზერვი წარმოადგინა საბალანსო წილობრივი კომპონენტის სახით. 2022 წელს შერწყმის რეზერვი აღმოიფხვრა და ჩანაცვლდა სააქციო კაპიტალით და სხვა რეზერვებით სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ შექმნისთანავე.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი მომზადების საფუძველი განისაზღვრა მნიშვნელოვანი განსჯის საფუძველზე.

3. საოპერაციო გარემო

ჯგუფის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველოს არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში ოპერაციები შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (მათ შორის რისკს, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები, და სასესხო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული). თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორის არის ახალი კანონმდებლობის მიღება, ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნესის წარმოების რისკებს საქართველოში.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება განვითარებულ ქვეყნებში.

საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ წელიწადში 11%-ით გაიზარდა 2022 წლის დეკემბერში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) მიერ 2023 წლის 31 დეკემბრის გამოცემული სწრაფი შეფასების მიხედვით. ზრდა დაფიქსირდა მშენებლობის, წარმოების, ტრანსპორტირებისა და სასაწყობო, ფინანსურ და სადაზღვევო, ასევე სავაჭრო, სასტუმრო და სარესტორნო საქმიანობებში. ამასობაში, წინა წელთან შედარებით მოსალოდნელმა რეალურმა მშპ-ის ზრდამ 2022 წელს 10,1% შეადგინა.

„საქსტატის“ მონაცემებით, 2022 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციის დონემ 9,8% შეადგინა. მაღალი ინფლაცია გლობალური ეკონომიკური გამოწვევაა. პანდემიის შემდგომ პერიოდში, რუსეთის უკრაინაში შეჭრამ გაზარდა ელექტრო ენერგიისა და სურსათის ფასები საერთაშორისო ბაზრებზე. შედეგად, სამომხმარებლო ფასები მკვეთრად გაიზარდა მსოფლიოს მასშტაბით. ფასების ზრდამ გლობალური მასშტაბით ასევე საქართველოს ბაზარზეც გადმოინაცვლა და ქვეყანაში ის მაღალი ინფლაციის მთავარ მიზეზს წარმოადგენს. ამავდროულად, საქართველოში მაღალი ეკონომიკური აქტივობა იყო, რაც მნიშვნელოვნად განაპირობა ტურიზმის აღდგენამ რუსი და ბელარუსი სტუმრების ხანგრძლივი ვიზიტის ზრდის ფონზე. ძლიერი ეკონომიკური აქტივობა ზრდის მოთხოვნაზე დაფუძნებულ ინფლაციური ზეწოლის რისკს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწილობრივ ურთიერთგადაიფარებოდა ლარის გაცვლითი კურსის მიმდინარე გამყარებით.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

კოვიდ-19

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კოვიდ-19-ის ეპიდემია პანდემიად გამოაცხადა. კოვიდ-19-ის პანდემიამ გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ნიშნები უჩვენა, და მრავალმა ქვეყანამ მოხსნა მგზავრობაზე შეზღუდვები, გააუმჯობესა მკაცრი იზოლაცია და საკარანტინო ღონისძიებები. საქართველოს მთავრობამ გაატარა კოვიდ-19-ის გავრცელების შემსუბუქებელი რამდენიმე ღონისძიება, რომლებსაც მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა ჰქონდა. ჯგუფის საქმიანობის ხასიათის გათვალისწინებით, კოვიდ-19-ის ვირუსს არსებითი ნეგატიური გავლენა არ ჰქონია მის ოპერაციებზე. წინა წლებთან შედარებით, შეზღუდვები აღმოიფხვრა, იმატა ვაქცინირებული ადამიანების რიცხვმა და პანდემიიდან გამოსვლა მთელს მსოფლიოში ფიქსირდება. საქართველოში დაფიქსირდა ტუროზმის და ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანა გადალახავს პანდემიის ნეგატიურ ეფექტებს.

ომი უკრაინაში

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა ქვეყანამ კონკრეტულ რუსულ საწარმოებს და ფიზიკურ პირებს დაუწესა და უწესებს ახალ სანქციებს. სანქციები ასევე დაუწესდა ბელარუსსაც. შექმნილ ვითარებას, საქონლის ფასების და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების პოტენციურ მერყეობასთან, იმპორტ-ექსპორტის შეზღუდვასთან, ადგილობრივი მასალების და მომსახურებების ხელმისაწვდომობასა და ადგილობრივ რესურსებზე წვდომასთან ერთად პირდაპირი გავლენა ექნება საწარმოებზე, რომლებიც აწარმოებენ ოპერაციებს ან კონტაქტი აქვთ რუსეთთან, ბელარუსთან ან უკრაინასთან. ომს და მის პირდაპირ და არაპირდაპირ შედეგებს შესაძლოა გავლენა ჰქონდეს სხვა საწარმოებზე, რომლებსაც პირდაპირი ინტერესები არ გააჩნიათ ამ ქვეყნებში, მაგალითად, სამომხმარებლო ფასების და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობაზე დაქვემდებარების, ასევე გაჭიანურებული ეკონომიკური ვარდის შესაძლებლობის შედეგად. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს და ხდება ახალი სანქციების დაწესება, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს ჯგუფის საქმიანობაზე, ასევე გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ის ზოგადად ეკონომიკაზე. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში. ჯგუფზე ომის ეფექტების საუკეთესო მიმდინარე შეფასება ასახულია წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2022 წელს, თუმცა მათ არ ჰქონია არსებითი გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ფასს (IFRS) 3-ის ცვლილება „კონცეპტუალური მიდგომა“;
- ▶ „ძირითადი საშუალებები: შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“ – ბასს (IAS) 16-ის ცვლილება;
- ▶ „წამგებიანი ხელშეკრულებები – ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“ – ბასს (IAS) 37-ის ცვლილება;
- ▶ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება – შვილობილი საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს“;
- ▶ ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები – ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები“;
- ▶ ბასს (IAS) 41 – „სოფლის მეურნეობა – დაბეგვრა სამართლიანი ღირებულებით შეფასებაში“.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. ჯგუფი ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და სავალდებულოა შედარებადი რიცხობრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს (IFRS) 9-სა და ფასს (IFRS) 15-ს, ფასს (IFRS) 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს.
- ▶ ბასს (IAS) 1-ის ცვლილება: „ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად“ – ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და გამოიყენება რეტროსპექტულად.
- ▶ „სააღრიცხვო შეფასებების განმარტება“ – ბასს (IAS) 8-ის ცვლილება – ძალაშია 2023 წლის 1 იანვრით დაწყებული და შემდგომი წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ვრცელდება ცვლილებაზე სააღრიცხვო პოლიტიკაში და სააღრიცხვო შეფასების ცვლილებაში, რომლებიც ამ პერიოდის დასაწყისში ან შემდგომ პერიოდებში წარმოიშობა. ნებადართულია ცვლილებების ვადაზე ადრე გამოყენება, ამ ფაქტის გამჟღავნებამდე.
- ▶ „სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა“ – ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ, რომელიც ვრცელდება 2023 წლის 1 იანვრით დაწყებულ ან შემდგომ ყოველწლიურ პერიოდებზე, ამასთან ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება.
- ▶ ბასს (IAS) 12-ის ცვლილება – „ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი“ – 2021 წლის მაისში, საბჭომ გამოსცა ბასს (IAS) 12-ის ცვლილება, რომლითაც იზღუდება საწყისი აღიარების გამონაკლისის ფარგლები ბასს (IAS) 12-ის საფუძველზე, როცა ის აღარ ვრცელდება ოპერაციებზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარ დასაბეგრ და დასაქვით დროებით სხვაობებს.

ამ მომენტისთვის ჯგუფი აფასებს გადასინჯული სტანდარტების და ცვლილებების გავლენას, მაგრამ არ მოელის, რომ მათ არსებითი გავლენა ექნება მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ჯგუფი ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორიც არის სავაჭრო ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით აფასებს ბალანსის ყოველი თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ოპერაციის პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, და რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება ემპირიული და მინიმალურად – არაემპირიული ამოსავალი მონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემების საფუძველზე, რომელიც მთლიანობაში მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ 1-ლი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი).
- ▶ მე-2 დონე – შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ მე-3 დონე – შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს ჯგუფი განსაზღვრავს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ფინანსური აქტივები

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში („FVOCI“) და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით („FVPL“).

სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არ მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით განსაზღვრული გარიგების ფასით.

შემდგომი შეფასების მიზნით, ჯგუფის ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით, რაც მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში. ჯგუფი არ ფლობს ფინანსურ აქტივებს, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, გარდა სავაჭრო ფინანსური ინსტრუმენტებისა. ჯგუფის ფინანსური აქტივები შესულია მოკლევადიან აქტივებში, გარდა აქტივებისა, რომელთა დაფარვის ვადა აღემატება 12 თვეს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღიდან. ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭროდ გამიზნულ ფინანსურ აქტივებს.

ჯგუფი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს სავაჭროდ გამიზნულის სახით, თუ მათი შეძენის ან წარმოშობის უპირატესი მიზანია მოგების გამომუშავება ფასებში მოკლევადიანი ცვალებადობიდან ან სადილერო მარჟიდან, ან იმ შემთხვევაში, თუ ის იდენტიფიცირებული ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილს წარმოადგენს, რომელთა მართვა ერთობლივად ხდება და რომლისთვისაც არსებობს მოკლევადიანი მომგებიანობის მიმდინარე ფაქტური შაბლონი.

სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები მოიცავს საწარმოს მიერ ფასიდან ან სადილერო მარჟიდან მოკლევადიანი მოგების მიზნით შეძენილ სავალო ფასიან ქაღალდებს. სავაჭროდ გამიზნულ ინსტრუმენტებზე შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ჯგუფის ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე. გაუფასურების მტკიცებულება შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს:

- ▶ კონტრაქტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ▶ ხელშეკრულების დარღვევა, ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების გზით;
- ▶ მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაცია;
- ▶ კონტრაქტის გადახდების სტატუსში უარყოფითი ცვლილებაა, რომელიც გამოწვეულია ქვეყნის მასშტაბით ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ისეთი ცვლილებებით, რომლებიც გავლენას ახდენს მხარეზე.

თუ მომდევნო წლის განმავლობაში შეფასებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, ადრე აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ მომავალი ჩამოწერილი თანხა მოგვიანებით აღდგება, ის დაკრედიტდება მოგება-ზარალში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში უარყოფითი ნიშნით, როგორც გაუფასურების გაუქმება. რეგულარულად ხდება მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება და იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რათა შემცირდეს სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის. გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარებულია რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდეს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე, რომლებიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა უპირატესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა; ან
- ▶ ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან შეინარჩუნა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ ჯგუფმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც შეინარჩუნა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, ჯგუფი აგრძელებს გადმოცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გზით. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება, მათ შორის ნასესხები სახსრები, გამოშვებული ობლიგაციები და სავაჭრო და სხვა ვალდებულება აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე გამსესხებლის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ამასთან სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებაში აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები თავდაპირველად თვითღირებულებით აღირიცხება. ისევე, როგორც შესყიდვის ფასი, დაუმთავრებელ მშენებლობაში შემავალი ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაც მოიცავს ერთეულების დემონტაჟის და ტერიტორიიდან გატანის მომავალი გარდაუვალი ხარჯების პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს და მოსალოდნელ დღევანდელ ღირებულებას. პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები მოიცავს ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სხვა შესაბამისი ექსპერტების მიერ გაწეულ პროფესიულ მომსახურებას. ამასთან, პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები ითვალისწინებს ნებართვის წინა დანახარჯებს, რაც მოიცავს პროექტის შეფასების პერიოდში განხორციელებულ კვლევებს და მომსახურებებს, როგორც არის შეფასების კვლევა, საპროექტო დანახარჯების, ტექნიკურ და გარემოსდაცვით ანალიზს, გეოლოგიურ კვლევებს. ელექტროსადგურების მშენებლობისთვის ნებართვების მისაღებად განხორციელებული შენატანები ადგილობრივ სამთავრობო უწყებებში ასევე წარმოადგენენ პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების ნაწილს. ერთეულების დემონტაჟის და გატანის ვალდებულება ანარიცხებში აღიარდება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ჯგუფი ფლობს უძრავ ქონებას, რომელიც ძირითადად შედგება ადმინისტრაციული შენობებისა და საოპერაციო ობიექტებისგან.

ძირითადი საშუალებების ყველა კატეგორია აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი მზად არის და ხელმისაწვდომია ექსპლუატაციისთვის. ამორტიზებული ღირებულების ამორტიზაცია (რომელიც განისაზღვრება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულებით) დაანგარიშდება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე. ძირითადი საშუალებების რამდენიმე კლასის შესაბამისი არსებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	60 წელი
ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის აქტივები ¹	10-50 წელი
ავეჯი და მოწყობილობები	5-10 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

¹ ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის აქტივები მოიცავს ელექტროსადგურთან უშუალოდ დაკავშირებულ ნაწილებს, მათ შორის გენერატორებს, რეზერვუარებს (ჰიდროელექტრო სადგურის შემთხვევაში), ტურბინებს და სადგურს.

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც ჯგუფი აქტივის გასვლიდან მიიღებდა, გასვლის სავარაუდო დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე მოძველებული და ისეთ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, როგორც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისთვის.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი სახსრების გასვლის ალბათობა დაბალია. თუ სავარაუდო გახდება გასვლის შესაძლებლობა, ჯგუფი შესაბამის ანარჩებებს აღიარებს ვალდებულებებისთვის და დებულებების ცვლილებებისთვის. პირობითი აქტივების აღიარება არ ხდება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სანამ პრაქტიკულად აშკარა არ იქნება ანაზღაურება (რასაც ჩვეულებრივ აქვს ადგილი სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული ანაზღაურებისას) და წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა სასრულია, აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხორციელდება წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადის განმავლობაში (3-5 წელი), დაწყებული იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ხელმისაწვდომი გახდა მოხმარებისთვის.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება შემცირდება მათი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უფრო მაღალ ღირებულებამდე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაბეგვრა

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები არიან საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008–2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. 2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ ჯგუფი თითოეული საწარმოს საგადასახადო ვალდებულებებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე წარმოადგენს.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ღირებულება მოიცავს უშუალოდ მასალებისა და, შესაბამის შემთხვევებში, შრომის პირდაპირ დანახარჯებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა მარაგების ამჟამინდელ მდებარეობასა და მდგომარეობამდე მისაყვანად. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეული საქმიანობის პროცესში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც მათთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგ არის მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, საწყისი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი ჯგუფი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სხვა სახის გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების მიღების შემდეგ.

თუ არსებობს მინიშნება, რომ გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, გადახდილი ავანსების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი გატარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები)

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს მოთხოვნამდე ანაზრებს ბანკში, რომელთა თავდაპირველი ვადა შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო რისკს. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სააქციო კაპიტალი და შერწყმის რეზერვი

კომპანიის ავტორიზებული სააქციო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებაში. სხვაობა ნომინალურ ღირებულებასა და ფაქტობრივად მიღებულ შენატანს შორის აღიარდება დამატებით შეტანილ კაპიტალში კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, ჯგუფმა გააუქმა და ჩაანაცვლა შერწყმის რეზერვი სააქციო კაპიტალით და სხვა რეზერვებით სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ რეგისტრაციისთანავე 2022 წელს.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ დაფუძნებამდე, შერწყმის რეზერვის მოძრაობა მოიცავდა სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ენერგეტიკული სეგმენტის შვილობილი საწარმოს შენატანს სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზში“ „GCAP“-ის მიერ და წილობრივ შენატანებს და განაწილებებს სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ შვილობილი საწარმოების აქციონერებზე (როგორც არის მათი სააქციო კაპიტალის ზრდა ან კლება ისეთი ოდენობით, რომელიც არ აღმოიფხვრება კონსოლიდაციისას).

სესხების კაპიტალში გარდაქმნა აქციონერებთან

როდესაც ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები კონვერტირდება კაპიტალად სესხების კაპიტალში გარდაქმნის გარიგების ფარგლებში მშობელ საწარმოსთან ან საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოსთან, ჯგუფი შედეგად მიღებული გამოცემული წილობრივი ინსტრუმენტის ღირებულებას აღრიცხავს დაფარული ვალდებულების საბალანსო ღირებულებით ისე, რომ არ აღიარდება მოგება ან ზარალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვეითება საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მათი გამოცხადება და დამტკიცება ხდება.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ, 18%-იანი დარიცხვა) წარმოადგენს ვალდებულებას საგადასახადო უწყებების მიმართ, როდესაც ხდება საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა. დღგ-ის ჩასათვლელი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშგაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ მისი მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღგ-ის თანხიდან მხოლოდ ამ ანგარიშგაქტურის გადახდისას. საგადასახადო კანონმდებლობით ნებადართულია დღგ-ის გადახდა ნეტო-საფუძველზე. შესაბამისად, ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ, რომლის გადახდაც ხორციელდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო-საფუძველზე. როდესაც იქმნება მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის საერთო თანხასთან მიმართებით, დღგ-ის ჩათვლით. საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება, როგორც წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, ან როგორც საგადასახადო ვალდებულება, მოგების გადასახადის გარდა.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯსა და უცხოურ ვალუტაში მიღებული ნასესხები სახსრებით გამოწვეულ საკურსო სხვაობებს იმდენად, რამდენადაც ისინი ითვლება საპროცენტო ხარჯების კორექტირებად. ისეთი აქტივის შეძენისთვის ან მშენებლობისთვის პირდაპირ მიკუთვნებადი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელთა მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის თვითღირებულების ნაწილი. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი გაწევისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების ის ოდენობა, რომელიც ექვემდებარება კაპიტალიზაციას, განისაზღვრება, როგორც სესხის მიღებისას გაწეული ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები შესაბამისი ქონების მშენებლობის ეტაპის განმავლობაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალდებულებების ანარიცხები და ანარიცხების დარიცხვა

ვალდებულებების ანარიცხები განუსაზღვრელი ვადების და ოდენობის მქონე არაფინანსურ ვალდებულებებს წარმოადგენს. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

მსგავსი ვალდებულებების არსებობის დროს, ალბათობა იმისა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება რესურსების გადინება, განისაზღვრება ვალდებულებების კლასის, როგორც ერთი მთლიანის გათვალისწინებით.

თუ ჯგუფი მოელის ანარიცხის ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია.

არარეგულარული შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფი ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიცირებასა და გაცხადებას. არარეგულარული ხასიათისა შეიძლება ნებისმიერი ტიპის შემოსავალი ან ხარჯი იყოს. ჯგუფი არარეგულარულ შემოსავალს ან ხარჯს განსაზღვრავს, როგორც უჩვეულო ეკონომიკური, ბიზნესის ან ფინანსური მოვლენის შედეგად განპირობებულ ან მისგან გამომდინარე შემოსავალს ან ხარჯს, რომელიც არ არის ჯგუფის ჩვეულებრივი და რეგულარული საქმიანობისთვის დამახასიათებელი და გამოწვეულია წინასწარ გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი გარე ფაქტორებით.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის გაყიდვისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

სამუშაო ვალუტა და უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

კომპანიის და ჯგუფში შემავალი საწარმოების სამუშაო ვალუტაა ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი (აშშ დოლარი), შემდეგის გათვალისწინებით:

- ▶ საქართველოში ელექტროენერგიის ტარიფი განისაზღვრება აშშ დოლარში, შესაბამისად, ჯგუფის ამონაგები აშშ დოლარშია გამოხატული;
- ▶ აქციონერების მიერ სააქციო კაპიტალში შენატანები, ასევე მათზე გადანაწილება აშშ დოლარში განხორციელდა;
- ▶ ჯგუფის ფინანსური სტრუქტურა აშშ დოლარშია გამოხატული.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავდაპირველად კომპანიის სამუშაო ვალუტაში აღირიცხება, გარიგების თარიღისთვის დადგენილი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ხდება საანგარიშგებო თარიღში არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლების გადანაგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების კონვერტირებით მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობის ფარგლებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამუშაო ვალუტა და უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია (გაგრძელება)

სხვაობები გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია შემოსულობის თანხით შემცირებულ საკურსო სხვაობით განპირობებულ ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 2.7020 და 3.0976 ლარი 1 აშშ დოლარი, შესაბამისად.

ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ჯგუფის წარსადგენი ვალუტა არის ლარი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლების წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშება ხდება შემდეგი პრინციპების მიხედვით: აქტივები და ვალდებულებები ლარში გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღში მოქმედი სავალუტო კურსით, შემოსავალი და ხარჯები გადაანგარიშდება გარიგების დღეებში მოქმედი სავალუტო კურსებით (ან პერიოდის საშუალო კურსით, თუ მიახლოებული სიდიდე გონივრულია), ხოლო კაპიტალის კომპონენტებისთვის შენარჩუნდება ის გაცვლითი კურსი, რომელიც მოქმედებდა სამუშაო ვალუტის ცვლილების თარიღისთვის. კონსოლიდაციისთვის აუცილებელი კონვერტაციის შედეგად მიღებული საკურსო სხვაობის აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში.

ფულადი სახსრების მოძრაობის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში შესულ ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი არ მოიცავს საკურსო სხვაობით განპირობებულ შემოსულობას/ზარალს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე და უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციის ეფექტს, ფულადი ნაკადების ანგარიშგების მოსამზადებლად ლარში.

EBITDA

ჯგუფი ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. EBITDA არ არის განსაზღვრული ფასის სტანდარტებში და ჯგუფი მას განსაზღვრავს, როგორც შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე, რომელიც მიიღება, როგორც ჯგუფის მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გათვალისწინებამდე, მაგრამ არ შეიცავს შემდეგ მუხლებს: ცვეთა და ამორტიზაცია, ფინანსური შემოსავალი, ფინანსური დანახარჯები, საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი), ევრო ობლიგაციების რეფინანსირებასთან დაკავშირებული შეფასებების ხელახლა შეფასება, გაუფასურების ხარჯები და არარეგულარული ხარჯები, წმინდა.

საოპერაციო სეგმენტი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საოპერაციო მართვის უმაღლესი ორგანო მთლიან ჯგუფს აფასებს, როგორც ერთ საოპერაციო სეგმენტს – განახლებადი ენერგიის ბიზნესი. საოპერაციო მართვის უმაღლესი ორგანო აფასებს შესრულების მაჩვენებლებს ამონაგების, დაბეგვრამდე მოგების და წმინდა მოგების საფუძველზე, რომელიც ფასდება ფასის სტანდარტების მიხედვით, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

ჯგუფის ყველა აქტივი და ვალდებულება საქართველოშია კონცენტრირებული და ამონაგები გარე მომხმარებლებიდან მიიღება საქართველოში განხორციელებული ოპერაციებიდან. ერთმა გარე მომხმარებელმა, სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“), 2022 წელს ჯგუფის მთლიანი ამონაგების 10% აღრიცხა (2021 წ.: ორი გარე მომხმარებელი: „ესკო“ და დაკავშირებული კომპანია (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო) შპს „საქართველოს ენერგიით ვაჭრობის კომპანია“ („GETC“)). 2022 წელს „ესკო“-ს მხრიდან აღიარებული მთლიანი ამონაგები 25,987 ლარი იყო, რაც 2022 წელს ჯგუფის ამონაგების 62% შეადგენდა. 2021 წელს „ესკო“-ს და შპს „საქართველოს ენერგიით ვაჭრობის კომპანიის“ მხრიდან აღიარებული მთლიანი ამონაგები 37,678 ლარი იყო, რაც 2021 წელს ჯგუფის ამონაგების 87% შეადგენდა. ჯგუფს არ ჰყავს სხვა მომხმარებლები, რომლებიც ჯგუფის მთლიანი ამონაგების 10%-ზე მეტს აღრიცხავდა 2022 და 2021 წლებში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როცა ჯგუფი აკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას იმ ოდენობით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის საქონლის და მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემის დაპირების სანაცვლოდ. ჯგუფის ამონაგების ძირითადი კლასებზე ასევე ვრცელდება შემდეგი კონკრეტული პრინციპები:

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან

ჯგუფი ყიდის ელექტროენერგიას, რომელსაც გამოიმუშავებს საკუთარი ქარის და ჰიდრო ელექტროსადგურებით. მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

ამონაგების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიანი ღირებულებით.

ელექტროენერგია იყიდება ცალკეული ხელშეკრულებების ფარგლებში და ელექტროენერგიის გაყიდვა ერთადერთ შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს. შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილებულია და ამონაგები აღიარდება ისეთ დროს, როდესაც აქტივზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, რაც ელექტროენერგიის მიწოდების მომენტში ხდება შეთანხმებული საზომი მრიცხველის საფუძველზე.

ამონაგები ფასდება ხელშეკრულების საფუძველზე შეფასებული გარიგების ფასით. საზღაურის გადახდა ხდება ელექტროენერგიის გადაცემაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მომხმარებლები ჩვეულებრივ ვალდებული არიან გადაიხადონ შესაბამისი ნაშთები მომდევნო თვის ბოლომდე.

საქმიანობის შეფერხების ანაზღაურებით მიღებული შემოსულობა

საქმიანობის შეფერხების ანაზღაურებით მიღებული შემოსულობა აღიარდება სადაზღვევო მოთხოვნის აქტების საფუძველზე.

ელექტროენერგიის და გადაცემის ხარჯები

ელექტროენერგიის და გადაცემის დანახარჯები მოიცავს გარანტირებული სიმძლავრის, ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეჩერიზაციის, ასევე სადგურების ტექნომსახურების დანახარჯებს.

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯები

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ზუსტად ახორციელებს მომავალში მოსალოდნელი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საზღაურს და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება ინსტრუმენტზე და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ჯგუფი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, ამგვარი აქტივი აკმაყოფილებს გაუფასურებულის განმარტებას, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

დასაქმებულთა გასამრჯელოები

ჯგუფი აღიარებს მოგებაში მონაწილეობის და საბონუსე გადახდების მოსალოდნელ ხარჯს, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- (ა) საწარმოს აქვს მიმდინარე ან კონსტრუქციული ვალდებულება განხორციელოს ამგვარი გადახდა განვლილი მოვლენების შედეგად; და
- (ბ) შესაძლებელია განხორციელდეს ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმოს არ ექნება რეალური ალტერნატივა გადახდის განხორციელების გარდა.

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ჯგუფის თანამშრომლების მიერ ან მაშინ, როდესაც წარმოიშობა სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულების ვალდებულება.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასება

ჯგუფი მიმართავს გარკვეულ განსჯას და შეფასებას, რაც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასება და განსჯა მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მნიშვნელოვან განსჯასთან ერთად, რომელიც კეთდება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადების შესაბამის საფუძველზე, რაც მე-2 შენიშვნაშია განსაზღვრული, მსჯელობები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი აქვთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი კორექტირების განხორციელება აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების გაუფასურება

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის, ჯგუფმა ჩაატარა ძირითადი საშუალებების გაუფასურების ან აღდგენის მაჩვენებლების ანალიზი. ხელმძღვანელობას არ აღმოუჩენია ძირითადი საშუალებების გაუფასურების ან ადრე აღიარებული გაუფასურების აღდგენის ინდიკატორები, გარდა ფიზიკური დაზიანებით ან ზარალის მოვლენით გამოწვეული გაუფასურებისა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ანაზღაურებადი აქტივების შეფასება

მნიშვნელოვანი განსჯა საჭირო იმის განსასაზღვრად, ზარალის მოვლენის სადაზღვევო ანაზღაურება სავარაუდოა თუ არა და შესაფერისია თუ არა კონკრეტული სადაზღვევო სარჩელის მოთხოვნა, ასევე სადაზღვევო სარჩელის მოთხოვნის შეფასებაში საანგარიშგებო თარიღში. ინფორმაცია 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებული გაუფასურების ზარალის და შესაბამისი სადაზღვევო ანაზღაურების შესახებ განხილულია მე-6 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების შემადგენელი ცალკეული მუხლის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის განსჯაზე, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. რომელიმე ამ პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების დაკორექტირება.

6. ძირითადი საშუალებები

	ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა-ავტოსატრანსპორტო მოწყობილობები და დამატარებელი						
	მიწის ნაკვეთები	შენობანაგებობები	ტურის აქტივები	საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობები	ბელი მშენებლობა	სულ
მოთიანი საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის	1,327	79,095	296,897	820	1,417	1,108	380,664
შესყიდვები	-	222	3,130	47	-	3,565	6,964
გასვლები/ჩამოწერები	-	-	(2,117)	-	-	-	(2,117)
სხვა ვალუტაში გადაყვანა	(72)	(4,343)	(16,172)	(45)	(36)	(232)	(20,900)
2021 წლის 31 დეკემბერი	1,255	74,974	281,738	822	1,381	4,441	364,611
შესყიდვები	-	47	190	119	49	2,122	2,527
გასვლები	-	-	(38,963)	(25)	(207)	(29)	(39,224)
სხვა ვალუტაში გადაყვანა	(160)	(9,575)	(33,040)	(114)	(177)	(740)	(43,806)
2022 წლის 31 დეკემბერი	1,095	65,446	209,925	802	1,046	5,794	284,108
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
2020 წლის 31 დეკემბერი	-	3,212	12,963	38	102	-	16,315
ცვეთის დანარიცხი	-	2,886	9,528	32	38	-	12,484
გაუფასურება და ჩამოწერა	-	-	36,472	-	-	-	36,472
სხვა ვალუტაში გადაყვანა	-	(270)	(977)	(3)	(7)	-	(1,257)
2021 წლის 31 დეკემბერი	-	5,828	57,986	67	133	-	64,014
ცვეთის დანარიცხი	-	2,196	8,253	24	40	-	10,513
გასვლები	-	-	(36,305)	-	-	-	(36,305)
სხვა ვალუტაში გადაყვანა	-	(903)	(5,192)	(10)	(20)	-	(6,125)
2022 წლის 31 დეკემბერი	-	7,121	24,742	81	153	-	32,097
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება							
2021 წლის 31 დეკემბერი	1,255	69,146	223,752	755	1,248	4,441	300,597
2022 წლის 31 დეკემბერი	1,095	58,325	185,183	721	893	5,794	252,011

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს დაგირავებული ჰქონდა მისი ყველა ძირითადი საშუალებები გამოშვებული ობლიგაციების უზრუნველყოფის სახით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰქონია დაგირავებული ძირითადი საშუალებები მისი ნასესხები სახსრების და გამოშვებული ობლიგაციების უზრუნველყოფის სახით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „დარჩის“ დარჩენილი ჰქონდა სახელშეკრულებო ვალდებულება ტურბინების, გენერატორების და ელექტრონული აღჭურვილობის შესაძენად 10,393 ლარის (3,603,080 ევრო) ოდენობით, და ასევე გვირაბის სამუშაოს დაგეგმვის, მშენებლობისა და ზედამხედველობისთვის 688 ლარის (238,605 ევრო) ოდენობით.

2021 წლის ივლისში, მდინარე კასლეთის ხეობაში მოხდა წყალდიდობა, რამაც გამოიწვია ჰიდროელექტრო სადგურის „კასლეთი 2“ დაზიანება. წყალდიდობის შედეგად „კასლეთი 2“-მა ერთი თვით შეწყვიტა ფუნქციონირება, და ელექტროენერგიის გამომუშავება 2021 წლის სექტემბერში აღადგინა. 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სადაზღვევო კომპანიასთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა ჩამოწერა ძირითადი საშუალებების დაზიანებული მუხლები საბალანსო ღირებულებით 1,994 ლარი. ზარალის მოვლენასთან დაკავშირებით ჯგუფმა აღიარა ანაზღაურებადი აქტივი (სადაზღვევო სარჩელის მოთხოვნა) სადაზღვევო კომპანიის, საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან, 2,022 ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბრის: 2,318 ლარი). 263 ლარის ოდენობით შესაბამისი წმინდა ზარალი შესულია არარეგულარულ ერთეულებში და საქმიანობის შეფერხების ანაზღაურებით მიღებულ შემოსულობაში 587 ლარის ოდენობით 2021 წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

6. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2019 წლის ივლისის თვეში კლდის ჩამოწოლით ჰიდროელექტრო სადგურის „მესტიაჭალა 1“ ზარალის მოვლენასთან დაკავშირებით, ჯგუფმა თავდაპირველად აღიარა ანაზღაურებადი აქტივი, რომელიც მეტწილად ფულადი ფორმით დაიფარა და დარჩენილი 2,158 ლარის ჩამოწერილი არარეგულარული ხარჯები, დამზღვევთან 2021 წელს შეცვლილი ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხსენებულ ზარალის მოვლენასთან მიმართებით, ჯგუფს არ ჰქონდა დაუფარავი ანაზღაურებადი აქტივები. სრული ხარჯის და მიზანშეწონილობის შეფასების შედეგთან ერთად, ჰიდროელექტრო სადგურის „მესტიაჭალა 1“ აღდგენის პროცესი განუსაზღვრელი ვადით შეჩერდა 2021 წელს. ამის შემდეგ, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღირიცხა ჰიდროელექტრო სადგურის „მესტიაჭალა 1“ აქტივების გაუფასურება, რამაც გამოიწვია 36,595 ლარის გაუფასურების დანარიცხი 2021 წლის მოგებაში ან ზარალში. 2022 წლის 20 ივნისს ჯგუფმა გააფორმა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება („SPA“) მესამე მხარესთან ჰიდროელექტრო სადგურის „მესტიაჭალა 1“ აქტივების გასაყიდად წმინდა სააღრიცხვო ღირებულებით 2,448 ლარი (მოიცავდა მთლიან სააღრიცხვო ღირებულებას 38,753 ლარის ოდენობით და დაგროვილ ცვეთას და გაუფასურებას 36,305 ლარის ოდენობით) მთლიანი საზღაურით 3 მილიონი აშშ დოლარი, საიდანაც 0,3 მილიონი აშშ დოლარის (877 ლარი) გადაცემა მოხდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმების თარიღში. „მესტიაჭალა 1“-ის გაყიდვიდან წარმოქმნილი დარჩენილი მოთხოვნები დაუფარავი საბალანსო ღირებულებით 0,6 მილიონი აშშ დოლარი (1,789 ლარი) გადაეცა დაკავშირებულ მხარეს (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო) 2022 წელს (მე-9 შენიშვნა). ამ გარიგების შედეგად, 218 ლარის ოდენობით წმინდა შემოსულობა შევიდა არარეგულარულ მუხლებში 2022 წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ჰიდროელექტრო სადგურის „მესტიაჭალა 1“ გაყიდვასთან მიმართებით (მე-17 შენიშვნა).

7. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ავანსები გრძელვადიან აქტივებზე	624	114
არამატერიალური აქტივები	428	836
სხვა გრძელვადიანი აქტივები	27	193
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	1,079	1,143

არამატერიალური აქტივების პირვანდელმა ღირებულებამ და დაგროვილმა ამორტიზაციამ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 601 ლარი და 173 ლარი შეადგინა, შესაბამისად (2021 წ.: 988 ლარი და 152 ლარი, შესაბამისად).

2022 წელს ჯგუფმა ჩამოწერა ჰიდროელექტრო სადგურთან „მესტიაჭალა 1“ დაკავშირებული არამატერიალური აქტივები წმინდა სააღრიცხვო ღირებულებით 300 ლარი (მე-17 შენიშვნა).

2022 წელს არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის დანარიცხმა, პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების ჩათვლით 21 ლარი შეადგინა (2021 წ.: 22 ლარი).

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე		
სავაჭრო მოთხოვნები ელექტროენერგიის გაყიდვიდან	1,678	2,366
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	1,678	2,366

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მათ სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული, მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადების გამო. ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოკლევადიანია და უკავშირდება ამონაგებს ელექტროენერგიის გაყიდვიდან. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითია 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

9. კაპიტალი

სააქციო კაპიტალი და შერწყმის რეზერვი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ არ იყო დაფუძნებული. შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2022 წლის 28 ივნისს სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ დაფუძნებამდე სააქციო კაპიტალი არ აღრიცხულა. ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის (მე-4 შენიშვნა) შესაბამისად, სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ დაფუძნებამდე კონკრეტული კაპიტალის მოძრაობა აღრიცხულია შერწყმის რეზერვის ფარგლებში. დაფუძნებამდე სააქციო კაპიტალის მოძრაობა შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი:

შერწყმის რეზერვი	ნომინალური რაოდენობა	
2020 წლის 31 დეკემბერი	104,664	
შერწყმის რეზერვის შემცირება (ა)	(20,000)	
2021 წლის 31 დეკემბერი	84,664	
სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ დაფუძნება (ბ)	(84,664)	
2022 წლის 28 ივნისი	–	

სააქციო კაპიტალი	ნომინალური რაოდენობა	აქციების რაოდენობა
2022 წლის 28 ივნისი	–	–
სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ დაფუძნება (ბ)	100	100,000
ენერგეტიკული შვილობილი საწარმოების შენატანი (გ)	100	100,000
სააქციო კაპიტალის შემცირება (დ)	(49)	(49,000)
სააქციო კაპიტალის შემცირება (ე)	(19)	(19,000)
სააქციო კაპიტალის ზრდა (ვ)	100	100,000
2022 წლის 31 დეკემბერი	232	232,000

კომპანიის ავტორიზებული სააქციო კაპიტალი შედგებოდა 200,000,000 (2021 წ.: ნული) ჩვეულებრივი აქციისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი.

კომპანიის გამოშვებული სააქციო კაპიტალი შედგებოდა 232,000 (2021 წ.: ნული) ჩვეულებრივი აქციისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი.

- (ა) 2021 წელს ჯგუფმა აღიარა შერწყმის რეზერვის შემცირება საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, რომელიც აქციონერზე 20,000 ლარის ნაღდი ფორმით განაწილებას უკავშირდება, სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ შვილობილი საწარმოების ამონაგების გზით.
- (ბ) 2022 წლის 28 ივნისს სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ დაფუძნდა, 100,000 აქციის გამოშვების გზით ნომინალური ღირებულებით 100 ლარი, ამავე ოდენობით ფულადი საზღაურის სანაცვლოდ. დაფუძნების თარიღში, დაგროვილი შერწყმის რეზერვი 84,664 ლარის ოდენობით აღმოიფხვრა სხვა რეზერვებში დასაბალანსებელი ზრდის დაბალანსების გზით.
- (გ) 2022 წლის 20 სექტემბერს მშობელმა საწარმომ განახორციელა ენერგეტიკული სექტორის შვილობილი საწარმოების ოფიციალური შენატანი სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციებში“, გამოშვებული 100,000 აქციის სანაცვლოდ, ნომინალური ღირებულებით 100 ლარი. აღიარდა 226,165 ლარის ოდენობით დამატებითი შეტანილი კაპიტალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებასა და შეტანილი შვილობილი საწარმოების კანონით განსაზღვრულ სამართლიან ღირებულებას შორის. რადგან სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ უკვე განახორციელა შეტანილი შვილობილი საწარმოების კონსოლიდირება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამ გარიგებას გავლენა არ ჰქონია სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ კონსოლიდირებულ საკუთარ კაპიტალზე. შესაბამისად, დასაბალანსებელი შემცირება სხვა რეზერვებში 226,265 ლარის ოდენობით აღიარდა შენატანის განხორციელების მომენტში.

9. კაპიტალი (გაგრძელება)

სააქციო კაპიტალი და შერწყმის რეზერვი (გაგრძელება)

- (დ) 2022 წლის 23 სექტემბერს შშობელმა საწარმომ შეამცირა სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ საკუთარი კაპიტალი მთლიანი ნომინალური ღირებულებით 86,847 ლარი, 49,000 აქციის გაუქმებით მთლიანი ნომინალური ღირებულებით 49 ლარი, საზღაურის გარეშე. მისი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად (მე-4 შენიშვნა), სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციებმა“ აღიარა სააქციო კაპიტალის 49 ლარით შემცირება და დასაბალანსებელი შემცირება დამატებით შეტანილ კაპიტალში 86,798 ლარის ოდენობით ამ გარიგებასთან დაკავშირებით.
- (ე) 2022 წლის 7 ოქტომბერს შშობელმა კომპანიამ შეამცირა სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ კაპიტალი მთლიანი ნომინალური ღირებულებით 18,142 ლარი 19,000 აქციის გაუქმებით მთლიანი ნომინალური ღირებულებით 19 ლარი, ნაწილობრივ სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ მიერ გადახდილი 6,450 ლარის ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ და ნაწილობრივ არაფულადი საზღაურით 11,692 ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს ჯგუფის დაკავშირებულ მხარეზე (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო) გაცემულ სესხებს 9,903 ლარის საბალანსო ღირებულებით და „მესტიაჭალა 1“-ის გაყიდვით მიღებული მოთხოვნას 0,6 მილიონი აშშ დოლარი (1,789 ლარი) საბალანსო ღირებულებით (მე-6 შენიშვნა). მისი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად (მე-4 შენიშვნა), სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციებმა“ აღიარა სააქციო კაპიტალის 19 ლარით შემცირება და დასაბალანსებელი შემცირება დამატებით შეტანილ კაპიტალში 18,123 ლარის ოდენობით ამ გარიგებასთან დაკავშირებით.
- (ვ) 2022 წლის 2 სექტემბერს „GCAP“-მა სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ენერგეტიკულ სეგმენტზე გასცა შიდა საფირმო სესხი 90 მილიონი აშშ დოლარის (261 ლარი) ოდენობით, სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ განახლებადი ბიზნესის 250 მილიონი აშშ დოლარის ევრო ობლიგაციების წილის დასაფარად. სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ დაფუძნების და ენერგეტიკული ბიზნესის შვილობილი საწარმოების კომპანიაში შეტანის შემდეგ, „GCAP“-სგან შიდა საფირმო სესხი ნაწილობრივ დაფარა ჯგუფმა 80 მილიონი აშშ დოლარის მწვანე ობლიგაციებიდან მიღებული შემოსულობიდან (მე-10 შენიშვნა), მაშინ, როდესაც შიდა საფირმო სესხის დაუფარავი 10 მილიონი აშშ დოლარი (27,369 ლარი) ჯგუფის საკუთარ კაპიტალად გარდაიქმნა სესხების კაპიტალში გარდაქმნის გარიგების ფარგლებში, 100 ლარის ოდენობით მთლიანი ნომინალური ღირებულების მქონე 100,000 გამოშვებული აქციის და დამატებით შეტანილი კაპიტალის 27,269 ლარის ოდენობით დასაბალანსებელი ზრდის სანაცვლოდ.

დივიდენდები

2022 და 2021 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

სხვა რეზერვები

სხვა რეზერვები მოიცავს არამაკონტროლებელი წილის მფლობელებთან გარიგებიდან მიღებულ არარეალიზებულ შემოსულობას/(ზარალს), უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციის რეზერვს და ჯგუფის ფორმირების და კომპანიის გარიგებებში ენერგეტიკული ბიზნესის შვილობილი საწარმოების შეტანას ისეთ ფარგლებში, რომელიც არ არის ასახული სააქციო კაპიტალში და დამატებით შეტანილ კაპიტალში. 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოძრაობა სხვა რეზერვებში უკავშირდება სხვა სრულ ზარალს საკურსო სხვაობის რეზერვთან, ასევე ჯგუფის ფორმირების და ენერგეტიკული ბიზნესის შვილობილი საწარმოების კომპანიაში შეტანასთან დაკავშირებით, ზემოთ მოცემულ თავში „სააქციო კაპიტალი და შერწყმის რეზერვი“ განსაზღვრულის შესაბამისად.

9. კაპიტალი (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფის მიზნებია:

- ▶ უზრუნველყოს ჯგუფის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რომ მან გააგრძელოს მფლობელებისთვის უკუგების, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა;
- ▶ შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ ჯგუფის საქმიანობა ხარჯთეფექტური იყოს.

ამ მიზნების მისაღწევად ჯგუფი დეტალურად აანალიზებს კაპიტალის სტრუქტურას, ნასესხები სახსრების ღირებულებისა და საკუთარი კაპიტალის არსებული დონის გათვალისწინებით. ჯგუფი კაპიტალს განსაზღვრავს კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, როგორც საკუთარ კაპიტალს და ნასესხებ სახსრებს, ასევე გამოშვებულ ობლიგაციებს, რომლებიც აღიარებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში.

2022 და 2021 წლებში კაპიტალის მართვის მიზნებში, პოლიტიკასა თუ პროცესებში ცვლილებები არ შესულა.

10. ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები

	2022 წლის 31 დეკემბერი		2021 წლის 31 დეკემბერი	
	მოკლევადიანი ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები
განაწილებული გამოშვებული ევრო ობლიგაციები	–	–	9,546	295,078
გამოშვებული მწვანე ობლიგაციები	3,363	213,201	–	–
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	4,149	–	134	2,570
სულ ნასესხები სახსრები	7,512	213,201	9,680	297,648

2020 წლის 23 ივლისს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზმა“ გამოუშვა 250 მილიონი აშშ დოლარის მწვანე ობლიგაციები, საიდანაც 95,4 მილიონი აშშ დოლარი მოდიოდა ენერგეტიკულ სეგმენტზე. პირველი რიგის არაუზრუნველყოფილი აშშ დოლარში გამოხატული 7,75%-იანი მწვანე ობლიგაციები, 5-წლიანი გამოუხმობი 2-წლიანი დაფარვის ვადით დაიფარა 2020 წლის 30 ივლისს. ობლიგაციების გამოშვება და გაყიდვა მოხდა ნომინალური ღირებულებით. ობლიგაციები შესულია ირლანდიის საფონდო ბირჟის გლობალური საფონდო ბაზრის ლისტინგში და მათ „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ 'B+' (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები) რეიტინგი, ხოლო „S&P“-ის მიერ – 'B' (სტაბილური). შემოსულობა ობლიგაციებიდან ჯგუფის მთავარი არსებული სესხის რეფინანსირებისთვის იყო გამოყენებული. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა აღიარა გამოშვებული აშშ დოლარში გამოხატული ევრო ობლიგაციების განაწილება 304,624 ლარის ოდენობით.

სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზისგან“ ჯგუფის გამოყოფის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდა ის, რომ სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზ“ ვალდებული იყო გამოესყიდა მისი ევრო ობლიგაციები 2022 წლის მესამე კვარტალში, რის მიხედვითაც სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზმა“ ისარგებლა ევრო ობლიგაციების პირობებით განსაზღვრული ქოლ-ოფციონით. შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობამ შეცვალა მისი მოლოდინები სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზის“ ენერგეტიკული სეგმენტის გამოყოფასთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების წილი ევრო ობლიგაციების ვალდებულებაში, რამაც გამოიწვია 2,766 ლარის ზარალი ამორტიზებული ღირებულების ცვლილებიდან, რომელიც აღიარებულია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

2022 წლის 12 ოქტომბერს სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციებმა“ გამოუშვა 80 მილიონი აშშ დოლარის მწვანე ობლიგაციები. ობლიგაციები აშშ დოლარშია გამოხატული 5-წლიანი გამოუხმობი 2-წლიანი დაფარვის ვადით და 7,00%-იანი კუპონური განაკვეთით. მწვანე ობლიგაციები საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგშია რეგისტრირებული.

10. ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები (გაგრძელება)

ობლიგაციების გამოშვება და გაყიდვა ხდება ნომინალური ღირებულებით. მწვანე ობლიგაციები უზრუნველყოფილია ჯგუფის ყველა ქონებით. ობლიგაციების შემოსულობა სრულად არის გამოყენებული „GCAP“-სგან აქციონერული სესხის რეფინანსირებისთვის 90 მილიონი აშშ დოლარის (261,324 ლარი) ოდენობით, რომელიც გაიცა 2022 წელს

სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ენერგეტიკული სეგმენტის 250 მილიონი აშშ დოლარის (საიდანაც ენერგეტიკულ სეგმენტს უკავშირდება 95,4 მილიონი აშშ დოლარი) 7,75%-იანი ევრო ობლიგაციების წილის გამოსყიდვის მიზნით 2022 წლის სექტემბერში.

აქციონერული სესხის ნაწილი „GCAP“-სგან 10 მილიონი აშშ დოლარის (27,369 ლარი) ოდენობით კონვერტირდება სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ სააქციო კაპიტალად 2022 წლის 29 ნოემბერს სესხების კაპიტალში გარდაქმნის გარიგებაში (მე-9 შენიშვნა).

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ნასესხები სახსრები დაკავშირებული მხარეებისგან (წარმოდგენილი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიერ) აშშ დოლარშია გამოხატული 10% ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით და საშუალო დაფარვის 1-წლიანი ვადით (2021 წ.: ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი 10% და საშუალო დაფარვის ვადა 2 წელი). ჯგუფმა გამოიხმო დამატებით 1,572 ლარი (547,475 აშშ დოლარი) საკრედიტო ლიმიტიდან 2022 წელს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა გამოიყენა სასესხო ვალდებულება 1,351 ლარი (500,525 აშშ დოლარი). სესხი დარჩის ჰიდროელექტრო სადგურის პროექტის განვითარებას უკავშირდება.

2022 წელს ჯგუფმა გასწია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები 21,785 ლარის (2021 წ.: 24,587 ლარი) ოდენობით, საიდანაც 312 ლარი კაპიტალიზებულია ძირითად საშუალებებში (2021 წ.: 134 ლარი).

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	ნასესხები სახსრები	განაწილებული გამოშვებული ევრო ობლიგაციები	აქციონერის სესხი	გამოშვებული მწვანე ობლიგაციები	საიჯარო ვალდებულებე- ბი	სულ
საბალანსო ღირებულება						
2020 წლის 31 დეკემბრის	159	318,488	–	–	1,237	319,884
უცხოურ ვალუტაში						
გადაყვანა	(114)	(17,659)	–	–	–	(17,773)
ფულადი შემოსულობა	2,525	–	–	–	–	2,525
გადახდები ნაღდი ფორმით	–	–	–	–	(231)	(231)
დარიცხული პროცენტი	134	24,622	–	–	161	24,917
გადახდილი პროცენტი	–	(23,593)	–	–	(161)	(23,754)
ევროობლიგაციების რეფინანსირებასთან დაკავშირებული შეფასებების ხელახლა შეფასება	–	2,766	–	–	–	2,766
სხვა	–	–	–	–	303	303
საბალანსო ღირებულება						
2021 წლის 31 დეკემბრის	2,704	304,624	–	–	1,309	308,637
უცხოური ვალუტაში						
გადაყვანა	(439)	(19,204)	(11,307)	(7,152)	(144)	(38,246)
ფულადი შემოსულობა	1,572	–	261,324	220,305	–	483,201
გადახდები ნაღდი ფორმით	–	(277,372)	(223,072)	–	(63)	(500,507)
დარიცხული პროცენტი	312	15,655	2,407	3,411	169	21,954
გადახდილი პროცენტი	–	(23,703)	(1,983)	–	(169)	(25,855)
სესხების კაპიტალში გარდაქმნა (მე-9 შენიშვნა)	–	–	(27,369)	–	–	(27,369)
საბალანსო ღირებულება						
2022 წლის 31 დეკემბრის	4,149	–	–	216,564	1,102	221,815

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულება

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულება	1,173	941
სხვა ვალდებულება	–	31
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	1,173	972

სავაჭრო და სხვა ვალდებულება უპროცენტოა და ჩვეულებრივ 60 დღის ვადაში იფარება.

12. ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან

	2022	2021
ამონაგები ელექტროენერგიის იურიდიულ პირებზე მიყიდვიდან	16,234	11,499
ამონაგები ელექტროენერგიის სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორისთვის“ მიყიდვიდან	25,987	31,810
სულ ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან	42,221	43,309

13. ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები

	2022	2021
ხელფასი	1,183	912
ბონუსები	151	17
სულ ხელფასები და გასამრჯელოები	1,334	929

14. პროფესიული გასამრჯელო

	2022	2021
საკონსულტაციო ხარჯები	442	526
იურიდიული და სხვა პროფესიული გასამრჯელო	179	206
სულ პროფესიული გასამრჯელო	621	732

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საფასური 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის 113 ლარს შეადგენს (2021 წ.: 130 ლარი).

15. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	2022	2021
სადაზღვევო ხარჯი	1,148	1,502
ტექნომსახურების ხარჯი	264	169
მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო ხარჯები	168	163
საქველმოქმედო ხარჯები	76	34
სხვა ხარჯები	45	95
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯები	1,701	1,963

16. ფინანსური დანახარჯები

	2022	2021
საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებზე, გამოშვებულ ობლიგაციებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით შეფასებულ გამოყოფილ ევრო ობლიგაციებზე.	21,473	24,587
ზარალი სავაჭრო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან	204	–
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	169	161
საბანკო მომსახურების ღირებულება და საკომისიო	5	125
სულ ფინანსური დანახარჯები	21,851	24,873

17. არარეგულარული ხარჯი, წმინდა

	2022	2021
სადაზღვევო ანაზღაურების აქტივის ხელახლა შეფასება (მე-6 შენიშვნა)	–	2,158
„მესტიაჭალა 1“-ის გასვლასთან დაკავშირებული არარეგულარული შემოსულობა (მე-6 და მე-7 შენიშვნები)	(218)	–
შრომითი საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებით დასაქმებული პირის ფულადი ანაზღაურება (ა)	121	1,185
შემოსავალი „მესტიაჭალა 1“-თან დაკავშირებულ გრანტზე (ბ)	–	(794)
ტექნიკური ფინანსური ანალიზის მომსახურების საფასური	–	669
გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა	300	569
კასლეთის წყალდიდობასთან დაკავშირებული არარეგულარული ხარჯები	–	263
სხვა	23	–
სულ არარეგულარული ხარჯი, წმინდა	226	4,050

- ა) შრომითი საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებული დასაქმებულ პირთა ფულადი ანაზღაურება აღიარებულია კონსტრუქციულ ვალდებულებასთან მიმართებით, რომელიც არსებობს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობის წევრების მიმართ, რომლის შეწყვეტაც მოსალოდნელია მართვის ცვლილებისთანავე. 2022 წლის თებერვალში ჯგუფმა შეცვალა თანხა ბონუსის ფაქტობრივი გადახდის მიხედვით.
- ბ) 2017 წლის 27 დეკემბერს ჯგუფმა მიიღო გრანტი ავსტრიული სახელმწიფო უწყებისგან „Oesterreichische Entwicklungsbank AG („OEEB“)“. 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრანტმა შესაბამისად შეადგინა 480 ლარი და 550 ლარი და კონკრეტული სახელშეკრულებო პირობების დაკმაყოფილების შემდეგ ანაზღაურდა „მესტიაჭალის“ ჰიდროელექტრო სადგურების ტექნიკურ დაპროექტებასთან დაკავშირებით გადახდილი თანხები. მიღებული გრანტის თანხა აღირიცხა როგორც გადავადებული შემოსავალი სხვა გრძელვადიან ვალდებულებებში და აღიარდა, როგორც შემოსავალი თანაბარი ოდენობის თანხებით დაკავშირებული აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადაზე. 2021 წელს „მესტიაჭალა 1“-ის გაუფასურების გამო, ჯგუფმა აღიარა არარეგულარული შემოსავალი „მესტიაჭალა 1“-თან დაკავშირებულ გრანტთან მიმართებით 794 ლარის ოდენობით.

18. პირობითი ვალდებულებები

ვალდებულებები

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის კონკრეტულ საწარმოებს (შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“, სს „სვანეთი ჰიდრო“, შპს „კასლეთი 2“, შპს „ჰიდრო ჯორჯია“) მოქმედი ხელშეკრულებები ჰქონდათ სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორთან“ („ესკო“) ამ საწარმოების მიერ გამოქმედებული ელექტროენერგიის გარანტირებულ შესყიდვაზე რვიდან თხუთმეტ წლამდე. შპს „ჯეო ენერჯი“-ის ჰესების ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებას ვადა 2022 წლის თებერვალში გაუვიდა, მას შემდეგ კომპანია გამოქმედებულ ელექტროენერგიას ბაზარზე ყიდის. ამ ხელშეკრულებების მიხედვით, კომპანიები ვალდებული არიან წარმოებული ელექტროენერგია მიჰყიდონ ესკო-ს ზამთრის თვეებში, გარდა შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურისა“, რომელსაც ამ ვალდებულების გარდა აქვს „ესკო“-სთვის ელექტროენერგიის მიყიდვის უფლება სრული წლის განმავლობაში. ელექტროენერგიის ნასყიდობის შესაბამის ხელშეკრულებს შემდეგი ვადები აქვთ:

- ▶ ჰიდროელექტრო სადგური „მესტიაჭალა 2“ – 2034 წლის აპრილი
- ▶ ჰიდროელექტრო სადგური „კასლეთი 2“ – 2028 წლის სექტემბერი
- ▶ ქარის ელექტრო სადგური „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ – 2030 წლის იანვარი
- ▶ ჰიდროელექტრო სადგური „ჰიდრო ჯორჯია“ – 2023 წლის დეკემბერი

გარანტირებული ფასი მერყეობს 1 კვტ. სთ-ზე 5,4–დან 6,5 აშშ ცენტს.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულაციების აღსრულება მიმდინარეობს და ხელისუფლების ორგანოების აღსრულების პოზიცია მუდმივად გადაიხედება. ჯგუფი პერიოდულად აფასებს მის ვალდებულებებს გარემოსდაცვითი რეგულაციების ფარგლებში. ვალდებულებების განსაზღვრასთან ერთად ისინი სასწრაფო წესით აღიარდება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას არსებულ რეგულაციების, სამოქალაქო სასამართლო დავების ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, ვერ შეფასდება, მაგრამ შესაძლოა არსებითი მნიშვნელობის იყოს. მიმდინარე აღსრულების ფარგლებში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოს დაზიანების მნიშვნელოვანი ვალდებულება არ არსებობს. ჯგუფს არ აქვს ექსპლოატაციიდან გაყვანის, აღდგენის ან მსგავსი ვალდებულებები.

ჯგუფის გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ნიშნების არსებობის შეფასებისას, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კლიმატის რისკების ცნობილი და შეფასებადი ეფექტები.

დაბეგვრა

საქართველოში საგადასახადო დეკლარაციები ღია რჩება და ექვემდებარება ინსპექტირებას სამ წლამდე ვადით. თუ ინსპექციის შედეგად დაფიქსირდება საგადასახადო ვალდებულების მცირე რაოდენობით წარმოჩენა, გადასახდელი ჯარიმები და საურავები შესაძლოა არსებითი მნიშვნელობის იყოს საგადასახადო ვალდებულებების არაზუსტად წარმოდგენასთან დაკავშირებით. ჯგუფის ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ ინსპექტირების შედეგებს არსებითი გავლენა ექნება ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე ან მისი ოპერაციების შედეგებზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის გადახდილი და დარიცხული აქვს ყველა მოქმედი გადასახადი.

19. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებს. ბანკში ნაღდი ფულის ყველა ნაშთი კლასიფიცირდება მოკლევადიანად და არა გაუფასურებულად.

19. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნები

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნები წარმოდგენილია მოკლევადიანი მოთხოვნებით ელექტროენერგიის გაყიდვიდან „ესკო“-ს და ქართული კორპორაციული მომხმარებლების მიმართ. ყველა სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება მოკლევადიანად და არა გაუფასურებულად.

სავაჭრო ფასიანი ქაღალდები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია განაწილებული „GCAP“-ის მიერ გამოშვებული ევრო ობლიგაციებით, რომლებიც ირლანდიის საფონდო ბირჟაზეა კოტირებული (სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონე). ამასთან, 2022 წლის იანვარში ჯგუფმა შეიძინა ქართველი ემიტენტის მიერ გამოშვებული კორპორაციული ობლიგაციები, რომლებიც საქართველოს საფონდო ბირჟაზეა კოტირებული. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორივე ობლიგაცია გაიყიდა. ჯგუფმა აღიარა 204 ლარის ზარალი სავაჭრო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან, რომელიც ფინანსურ დანახარჯებშია შესული (2021 წ.: ნული) და 385 ლარის (2021 წ.: 390 ლარი) საპროცენტო შემოსავალი სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან, რომლებიც ფინანსურ შემოსავალშია შესული 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ჯგუფის მიერ 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება კოტირებული ფასებით შეფასების მეთოდის გამოყენებით აქტიურ და არააქტიურ ბაზრებზე და ასევე ბაზრის ემპირიული ამოსავალი მონაცემებით.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეებში სხვა ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით, 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საობლიგაციო ვალდებულებების გამოკლებით, რომლებიც ფასდება არააქტიურ ბაზარზე შეთავაზების ფასების გამოყენებით (მე-2 დონე). მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, საბალანსო ღირებულების ტოლი ოდენობით შეფასდა. არაკოტირებული ფიქსირებულ-პროცენტიანი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული ოდენობით, მსგავსი საკრედიტო რისკის და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონით შეფასებული სამართლიანი ღირებულება და იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, არის შემდეგი:

		2022 წლის 31 დეკემბერი		2021 წლის 31 დეკემბერი	
		საბალანსო	სამართლიანი	საბალანსო	სამართლიანი
	დონე	ღირებულება	ღირებულება	ღირებულება	ღირებულება
ფინანსური აქტივები					
ანაზღაურებადი აქტივები (მე-6 შენიშვნა)	მე-3 დონე	2,022	2,022	2,318	2,318
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	1-ლი დონე	12,370	12,370	36,948	36,948
ფინანსური ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები (მე-10 შენიშვნა)	მე-2 დონე	220,713	207,786	307,328	319,959
საიჯარო ვალდებულებები	მე-2 დონე	1,102	1,102	1,309	1,309
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	მე-3 დონე	1,173	1,173	972	972

19. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ბანკში ნაღდი ფულის ნაშთის, ანაზღაურების აქტივის და სავაჭრო და სხვა ვალდებულების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო;
- ▶ ფიქსირებული განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრებისა და საიჯარო ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით მოქმედ ბაზარზე საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთების გამოყენებით;
- ▶ გამოშვებული ობლიგაციების სამართლიანი ღირებულება ფასდება არააქტიურ ბაზრებზე შეთავაზების ფასების გათვალისწინებით.

ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, ჯგუფი გასწევს საპროცენტო, სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკებს. ჯგუფი არ ფლობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს, ამიტომ ის არ გასწევს საპროცენტო განაკვეთის რისკს. ჯგუფის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას.

სავალუტო რისკი

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავალუტო რისკს წარმოშობს ევროსა და ლარში გამოხატული ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ნასესხები სახსრები. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გონივრულ ფარგლებში შესაძლო ცვლილების ეფექტი მოცემულია ცხრილში ქვემოთ:

ვალუტა	ზრდა/ კლება % 2022	ეფექტი მოგებაზე 2022
ლარი	18.92%	381
ლარი	-18.92%	(381)

ვალუტა	ზრდა/ კლება % 2022	ეფექტი მოგებაზე 2022
ევრო	11%	316
ევრო	-11%	(316)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გონივრულ ფარგლებში შესაძლო ცვლილების ეფექტი მოცემულია ცხრილში ქვემოთ:

ვალუტა	ზრდა/ კლება % 2021	ეფექტი მოგებაზე 2021
ლარი	15%	302
ლარი	-7%	(129)

ვალუტა	ზრდა/ კლება % 2021	ეფექტი მოგებაზე 2021
ევრო	14%	224
ევრო	-6%	(105)

19. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა მომხმარებლებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით კონტრაქტებთან ან კონტრაქტების ჯგუფთან მიმართებით. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არ ფლობს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვან ფინანსურ აქტივებს, გარდა შემდეგისა:

- ▶ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები: 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 12,370 ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბრის: 36,948 ლარი) განთავსებული იყო ქართულ ბანკებში, რომლებსაც „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვს „BB-/bb-“ შეფასებები;
- ▶ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (მე-8 შენიშვნა).

ყველა ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთები კლასიფიცირებულია მოკლევადიანად და ისინი გაუფასურებული არ არის. ამ ფინანსური აქტივების მოკლევადიანი და (ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან მიმართებით) ძალიან ლიკვიდური ხასიათის გამო, ჯგუფმა შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეაფასა, როგორც არაარსებითი. შესაბამისად ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში გაუფასურება არ აღიარებულა. ყველა ფინანსური აქტივის საკრედიტო ხარისხი მუდმივი მონიტორინგის საგანია, საკრედიტო ხარისხში შესაძლო უარყოფითი ცვლილებების დროულად გამოსავლენად. არ არსებობს ისეთი ფინანსური აქტივები, რომელთა პირობები რესტრუქტურირებულია და რომლებიც სხვა შემთხვევაში, აღნიშნული რესტრუქტურირების გარეშე, ვადაგადაცდილებული ან გაუფასურებული იქნებოდა. ჯგუფს არ აქვს შიდა საკრედიტო რეიტინგის განსაზღვრის სისტემა მისი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო რეიტინგის შეფასებისთვის.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება საუკეთესოდ წარმოაჩენს მათთვის დამახასიათებელ მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება გადახდის ვალდებულებების შესრულება, როდესაც გადახდის დრო დადგება ჩვეულებრივ ან სტრესულ ვითარებებში. ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აკონტროლებს ჯგუფის ფულადი სახსრების მოძრაობის მცოცავ პროგნოზებს. ჯგუფი ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსირების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებას.

19. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2022 წლისა და 2021 წლის მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე.

	1 წელზე ნაკლები	1-3 წელი	3-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
2022 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი					
ნასესხები სახსრები და გამოშვებული					
ობლიგაციები	15,131	30,262	246,422	–	291,815
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	1,173	–	–	–	1,173
საიჯარო ვალდებულებები	112	225	225	5,158	5,720
სულ მომავალი გადახდები	16,416	30,487	246,647	5,158	298,708
2021 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი					
ნასესხები სახსრები	32,454	45,816	318,497	–	396,767
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	972	–	–	–	972
საიჯარო ვალდებულებები	118	224	224	3,648	4,214
სულ მომავალი გადახდები	33,544	46,040	318,721	3,648	401,953

ლიკვიდობის რისკის მართვისას ჯგუფის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ჯგუფი შეძლებს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვას მწვანე ობლიგაციებსა და სხვა ნასესხებ სახსრებზე მომავალი კუპონური და საპროცენტო გადახდების განხორციელების ოპერაციებიდან ფულადი შემოსულობის გამოყენებით (მე-10 შენიშვნა).

20. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს ან ერთობლივად გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. ყოველი შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება გააფორმონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით და თანხებით, როგორც გაფორმდებოდა გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებს შორის. ქვემოთ წარმოდგენილი ყველა ოპერაცია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპის საფუძველზე.

20. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მოცულობა, დაუფარავი ნაშთები წლის ბოლოსთვის და დაკავშირებული ხარჯი და წლის შემოსავალი არის შემდეგი:

	2022 წლის 31 დეკემბერი		2021 წლის 31 დეკემბერი	
	საერთო კონტროლს მშობელი საწარმო		საერთო კონტროლს მშობელი საწარმო	
	დაქვემდებარე- ბული საწარმოები		დაქვემდებარე- ბული საწარმოები	
აქტივები				
ანაზღაურების აქტივი (მე-6 შენიშვნა)	–	2,022	–	2,318
სავაჭროდ გამოზნული ფინანსური აქტივები (ა)	–	–	8,122	–
ნასესხები სახსრები 1 იანვრის მდგომარეობით	–	2,704	–	159
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან და წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტიდან და უცხოური ვალუტაში გადაყვანიდან	–	1,445	–	2,545
ნასესხები სახსრები 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	4,149	–	2,704

(ა) 2021 წლის მარტის თვეში სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმა“ შეიძინა მშობელი საწარმოს მიერ გამოშვებული 2,500,000 აშშ დოლარის 2,493 ობლიგაცია 2018 წელს თავდაპირველად გამოშვებული ობლიგაციების ტეკ-ემისიის სახით ირლანდიის საფონდო ბირჟაზე. შეძენილი ობლიგაციები აღიარებულია ჯგუფის წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (მე-2 შენიშვნა). ობლიგაციებზე ირიცხება წლიური 6,125% და მათ დაფარვის წელია 2024. ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სავაჭროდ გამოზნულად სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. 2022 წლის იანვარში ჯგუფმა შეიძინა 1,000,000 აშშ დოლარის ღირებულების 1,000 ობლიგაცია. 2022 წლის განმავლობაში ჯგუფმა აღიარა 385 ლარის (390 ლარი) ფინანსური შემოსავალი ობლიგაციებზე. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორივე ობლიგაცია გაიყიდა და ჯგუფმა აღიარა 204 ლარის ზარალი ფინანსურ დანახარჯებში აღიარებული სავაჭრო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან (2021 წ.: ნული).

	2022	2021
შემოსავალი და ხარჯები		
ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან ¹	1,285	7,339
საქმიანობის შეფერხების ანაზღაურებით მიღებული შემოსულობა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან ²	–	587
არსებული ფინანსური დანახარჯები მშობელი საწარმოსთვის	(2,540)	–
ფინანსური შემოსავალი მშობელი საწარმოდან	260	390
სხვა საოპერაციო ხარჯები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისთვის ⁴	(937)	(2,421)

¹ ამონაგები სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ შვილობილი საწარმოს შპს „საქართველოს ენერგიით ვაჭრობის კომპანიისთვის“ ელექტროენერგიის მიწოდებიდან.

² შემოსავალი საქმიანობის შეფერხებით გამოწვეული ანაზღაურებიდან 2021 წელს წარმოადგენს სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეულ სადაზღვევო სარჩელს საქმიანობის შეფერხებისთვის.

⁴ სხვა საოპერაციო ხარჯები მეტწილად მოიცავს წლის სადაზღვევო ხარჯს, მათ შორის არარეგულარულ ხარჯებში აღიარებული ანაზღაურების აქტივის ხელახალ შეფასებას 2021 წლისთვის.

ამასთან, ჯგუფმა გააფორმა რამდენიმე სავალო და წილობრივი გარიგება დაკავშირებულ მხარეებთან 2022 და 2021 წლებში (მათ შორის სესხების კაპიტალში გარდაქმნის გარიგება), რომლებიც მე-9 და მე-10 შენიშვნებშია განსაზღვრული.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ შეადგინა:

	2022	2021
ხელფასი და დასაქმებულთა სხვა მოკლევადიანი გასამრჯელოები	162	110
ფულადი ბონუსი	62	55
შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელოები	121	1,185

21. იჯარა

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფს აქვს საიჯარო ხელშეკრულებები სხვადასხვა მიწის ნაკვეთზე, შენობაზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებასა და ოპერაციებში გამოყენებულ სხვა მოწყობილობებზე. ჯგუფის ვალდებულებების მის იჯარასთან დაკავშირებით უზრუნველყოფილია მეიჯარის უფლებით საიჯარო აქტივებზე. ზოგადად, ჯგუფს ეკრძალება საიჯარო აქტივების გადაცემა და ქვეიჯარა. ზოგიერთი საიჯარო ხელშეკრულება მოიცავს მისი გახანგრძლივების და შეწყვეტის შესაძლებლობას, ასევე ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც ქვემოთ არის დამატებით განხილული. ამ იჯარებისთვის, ჯგუფი სარგებლობს „მოკლევადიანი იჯარის“ და „დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის“ აღიარებისგან განთავისუფლების უფლებით.

აქტივის გამოყენების უფლების აღიარებული საბალანსო ღირებულება (მეტწილად საოფისე ფართის იჯარასთან დაკავშირებით) და მოძრაობა პერიოდის განმავლობაში მოიცავს შემდეგს:

	2022	2021
1 იანვარს	1,254	1,279
შესყიდვები	–	188
ცვეთის ხარჯი	(32)	(74)
გაუქმებული ხელშეკრულებები	–	(47)
სხვა ვალუტაში გადაყვანა	(102)	(92)
31 დეკემბერს	1,120	1,254

საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2022	2021
1 იანვარს	1,309	1,237
შესყიდვები	–	188
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	169	161
გადახდილი პროცენტი	(169)	(161)
გაუქმებული ხელშეკრულებები	–	(47)
საიჯარო ვალდებულებების გადახდა	(63)	(53)
სავალუტო კურსის მოძრაობა	(144)	(16)
31 დეკემბერს	1,102	1,309
მიმდინარე	112	118
გრძელვადიანი	990	1,191

ქვემოთ მოცემულია მოგება–ზარალში აღიარებული თანხები:

	2022	2021
აქტივის გამოყენების უფლების ხარჯის ცვეთა	(32)	(74)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	(169)	(161)
იჯარასთან დაკავშირებული ხარჯი (სხვა საოპერაციო ხარჯებში შესული)	(168)	(163)
სულ მოგება–ზარალში აღიარებული თანხა	(369)	(398)

მთლიანი საიჯარო გადახდებმა, მათ შორის დაბალი ღირებულების მქონე და მოკლევადიანმა იჯარებმა წლის განმავლობაში შეადგინა 400 ლარი (2021 წ.: 555 ლარი).

ჯგუფს რამდენიმე საიჯარო ხელშეკრულება აქვს, რომლებიც გაგრძელების და შეწყვეტის შესაძლებლობას იძლევა. ეს შესაძლებლობები შეთანხმებულია საიჯარო აქტივის პორტფელის მართვის მოქნილობის და ჯგუფის ბიზნეს–საჭიროებებთან მორგების უზრუნველსაყოფად. ხელმძღვანელობა იყენებს მნიშვნელოვან მსჯელობას იმის განსაზღვრად, გაგრძელების და შეწყვეტის ამგვარი შესაძლებლობები გონივრულ ფარგლებში გამოყენებადია თუ არა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5,608 ლარის ოდენობით მომავალი საიჯარო გადახდები მოიცავდა იჯარის ვადას ხელშეკრულების შეწყვეტასთან მიმართებით (2021 წ.: 4,096 ლარი).

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

მმართველობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.	ინფორმაცია კომპანიის შესახებ	1
2.	საოპერაციო გარემო	1
3.	ბიზნესის მიმოხილვა	2
4.	ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები	2
5.	მმართველი ორგანო და მენეჯმენტი	3
6.	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი	4
7.	არაფინანსური მაჩვენებლები	4
8.	საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი სახსრების მოძრაობის რისკები და მათი მართვის მექანიზმები.....	5
9.	კორპორატიული და სოციალური პასუხისმგებლობა	6
10.	ადამიანის უფლებების დაცვა	6
11.	კორუფცია	6
12.	პერსონალის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლება	7
13.	ზრუნვა თანამშრომლების უსაფრთხოებაზე	7
14.	ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	7
15.	სტრატეგიები და სამომავლო განვითარება	7

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ აქციონერს და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 29 მარტს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავიტარებია მმართველობით ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

2023 წლის 11 მაისი

თბილისი, საქართველო

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ (შემდგომში „GRPO“ ან „კომპანია“) არის 2022 წლის 28 ივნისს დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. კომპანია არის კომპანიების ჯგუფის ჰოლდინგური საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია და მდებარეობს საქართველოში (შემდგომში „ჯგუფი“). კომპანიის იურიდიული მისამართია მედეა (მზია) ჯუღელის ქ. #10, 0179, თბილისი, საქართველო. კომპანია უფრო დიდი ჯგუფის სს „საქართველოს კაპიტალის“ (შემდგომში „GCAP“) ნაწილია, რომელიც საქართველოში დაფუძნებული საინვესტიციო საწარმოა, რომელიც ინვესტიციებს ფლობს სხვადასხვა შვილობილ საწარმოში საქართველოში.

ჯგუფის ბიზნესი წარმოადგენს ჰიდროელექტრო სადგურების და ქარის ელექტროსადგურის სამუშაო პლატფორმას ქვეყანაში. ბიზნესი ამუშავებს ექსპლუატაციაში შესულ განახლებად აქტივებს 71 მგვტ დადგმული სიმძლავრით, მთლიანობაში: 30 მგვტ–იანი ჰიდროელექტრო სადგური მესტიაჭალა 2, 20 მგვტ–იანი ჰიდროელექტროსადგურები და 21 მგვტ–იანი ქართლის ქარის ელექტროსადგური.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-ის მფლობელია სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი“ (შემდგომში „GRPH“ ან „მშობელი საწარმო“), რომლის 100%-ის მფლობელია „GCAP“. „GCAP“-ის 100%-ის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „Georgia Capital“ (შემდგომში „საბოლოო მშობელი საწარმო“), ინგლისში რეგისტრირებული და ლონდონის საფონდო ბირჟაზე აღრიცხული იურიდიული პირი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფში შემავალი შვილობილი კომპანიები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	რეგისტრაციის ქვეყანა	შეძენის / დაფუძნების თარიღი	2022 წლის 31 დეკემბერი
სს „სვანეთი ჰიდრო“	საქართველო	2017 წლის	
		20 აპრილი	100%
შპს „ჰიდროლეა“:	საქართველო	2019 წლის	
		28 ოქტომბერი	100%
შპს „გეოენერჯი“	საქართველო	2019 წლის	
		28 ოქტომბერი	100%
შპს „ჰიდრო ჯორჯია“	საქართველო	2019 წლის	
		28 ოქტომბერი	100%
შპს „კასლეთი 2“	საქართველო	2019 წლის	
		28 ოქტომბერი	100%
შპს „დარჩი“	საქართველო	2019 წლის	
		28 ოქტომბერი	100%
შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“	საქართველო	2019 წლის 31 დეკემბერი	100%

2. საოპერაციო გარემო

ჯგუფის ბიზნესი კონცენტრირებულია საქართველოში. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველოს არ გააჩნია კარგად განვითარებული ბიზნესი და მარეგულირებელი ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად იარსებებს უფრო მომწიფებულ საბაზრო ეკონომიკაში. საქართველოში ოპერაციები შეიძლება მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, როგორც წესი, არ ასოცირდება განვითარებულ ბაზრებთან არსებულ რისკებთან. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ განიცადა მთელი რიგი მოვლენები, რომლებიც დადებითად აისახება ქვეყნის მთლიან საინვესტიციო კლიმატზე, კონკრეტულად ახორციელებს რეფორმებს, რომლებიც აუცილებელია საბანკო, სასამართლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების შესაქმნელად. ეს მოიცავს ახალი კანონმდებლობის მიღებას, მათ შორის ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. მენეჯმენტის აზრით, ეს ნაბიჯები ხელს უწყობს საქართველოში ბიზნესის წარმოების რისკების შემცირებას.

არსებული ტენდენცია, რომელიც მიმართულია ბიზნეს გარემოს საერთო გაუმჯობესებაზე, სავარაუდოდ შენარჩუნდება. საქართველოს ეკონომიკის სამომავლო სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და განვითარებულ მოვლენებზე და მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი ზომების ეფექტურობაზე. თუმცა, საქართველოს ეკონომიკა დაუცველია ბაზრის ვარდნისა და ეკონომიკური შენელების მიმართ განვითარებულ ქვეყნებში.

3. ბიზნესის მიმოხილვა

ჯგუფის ბიზნესი წარმოადგენს ჰიდროელექტრო სადგურების და ქარის ელექტროსადგურის სამუშაო პლატფორმას ქვეყანაში. ბიზნესი ამუშავებს ექსპლუატაციაში შესულ განახლებად აქტივებს 71 მგვტ დადგმული სიმძლავრით, მთლიანობაში: 30 მგვტ-იანი ჰიდროელექტრო სადგური მესტიაჭალა 2, 20 მგვტ-იანი ჰიდროელექტროსადგურები და 21 მგვტ-იანი ქართლის ქარის ელექტროსადგური. ჰესი „მესტიაჭალა 2“ სს „საქართველოს კაპიტალის“ მიერ აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა 2019 წელს, ხოლო დანარჩენი ორი აქტივი კომპანიამ ამავე წელს შეიძინა. ყველა ელექტროსადგური (გარდა ახმეტჭესისა, რომლის ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებასაც („PPA“) ვადა გაუვიდა) სარგებლობს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან ჩამოყალიბებული გრძელვადიანი ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებით, რაც იწვევს დოლართან დაკავშირებულ ფულადი სახსრების პროგნოზირებად ნაკადებს, რადგან ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები ფიქსირდება აშშ დოლარში.

4. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები

ჯგუფის შემოსავლის ძირითად წყაროს ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია წარმოადგენს. 2022 წლის მდგომარეობით ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი წინა წელთან შედარებით 2,5%-ით შემცირდა და 42,221 ათასი ლარი შეადგინა (აშშ დოლარში წინა წელთან შედარებით 8,1%-ით მეტი და 14,583 ათასი აშშ დოლარი შეადგინა) ძირითადად ლარის აშშ დოლართან მიმართებაში გამყარების გამო. შემოსავლების ზრდა აშშ დოლარში ძირითადად განპირობებული იყო ელექტროსადგურების უფრო მაღალი გენერაციით და ელექტროენერგიის გასაყიდი მაღალი ფასებით. ჯგუფის ელექტროსადგურების ელექტროენერგიის გამომუშავებამ 2022 წელს მიაღწია 268,329 მეგავატ/სთ-ს, რაც წინა წელთან შედარებით 0.9%-ით მეტია. 2022 წელს ელექტროენერგიის გასაყიდი საშუალო ფასი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 7.1%-ით და მიაღწია 5.43 აშშ დოლარს/კვტ.სთ-ს, ხოლო ელექტროენერგიის საშუალო ბაზრის გასაყიდად ფასმა მიაღწია 4.61 აშშ დოლარს/კვტ.სთ-ს რაც 30.3%-ით მეტია. 2022 წლის განმავლობაში, ელექტროენერგიის გაყიდვების დაახლოებით 61.5% დაფარეს PPA კონტრაქტებით.

2022 წელს ჯგუფის მიერ გაწეული საოპერაციო ხარჯები შემცირდა 5.2%-ით (9,362 ათას ლარამდე) ძირითადად ტექნოლოგიური ხარჯების და სხვა საოპერაციო ხარჯების დაზოგვის გამო, რაც გამოწვეულია ლარის გამყარებით დოლართან/ევროსთან მიმართებაში. შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ იღებს ტექნოლოგიურ ხარჯებს შპს ვესტასისგან და ვინაიდან ტექნიკური მომსახურების ხელშეკრულება ევროშია ლარის ევროსთან მიმართებაში გამყარების გამო, ტექნიკური ხარჯები 2022 წელთან შედარებით ნაკლები იყო ვიდრე 2021 წელს.

EBITDA 2022 წელს შემცირდა 3.6%-ით (შეადგენს 32,859 ათას ლარს), ძირითადად ვალუტის რყევების გამო, რომელიც გავლენას ახდენს შემოსავალზე საპრეზენტაციო ვალუტაში - ლარზე.

ობლიგაციების გამოშვება და ჯგუფის ცვლილებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „GCAP“ 100%-ს ფლობდა სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზში“ (შემდგომში „GGU“ ან „ყოფილი მშობელი საწარმო“), რომელიც საქართველოში დაფუძნებული ჰოლდინგური კომპანია იყო და ფუნქციონირებდა რამდენიმე შვილობილი საწარმოთი, ორ საოპერაციო სეგმენტში გაყიდული პროდუქტების და გაწეული მომსახურებების მიხედვით: (1) ელექტროენერგიის გამომუშავება და გაყიდვა (სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზის“ ენერგეტიკული სეგმენტი) და (2) წყალმომარაგების და წყალარინების მომსახურებები („GGU“-ის კომუნალური წყალმომარაგების სეგმენტი).

2021 წლის 31 დეკემბრის შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „Georgia Capital“-მა გამოაცხადა, რომ „GCAP“ მიყიდდა სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზის“ კომუნალური წყალმომარაგების სეგმენტში მის საწყის 80%-იან წილს FCC Aqualia-ს (შემდგომში „Aqualia“) ორ-ეტაპიანი გარიგებით.

2022 წლის 3 თებერვალს, „GCAP“-ის მიერ გაყიდვებიდან შემოსულობის სრულად მიღებით და შესაბამისი წილის სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზისთვის“ გადაცემით დასრულდა კომუნალური წყალმომარაგების ბიზნესის გაყიდვის გარიგება. შესაბამისად „Aqualia“ სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზის“ ახალი მაკონტროლებელი აქციონერი გახდა.

გარიგების მეორე ეტაპი 2022 წლის მესამე კვარტალში „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმი“ მიერ გამოშვებული 250 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით ევრო ობლიგაციების გამოსყიდვას მოჰყვა, რომელიც ფინანსდება „Aqualia“-ს და „GCAP“-ის მიერ აქციონერული სესხით „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმი“ მათი წილების პროპორციულად. ობლიგაციების გამოსყიდვის და საწარმოს გამოყოფის გზით საოპერაციო განახლებადი ენერგიის აქტივების გაყოფის შემდეგ, „GCAP“-მა აღადგინა ჯგუფის განახლებადი ენერგეტიკული აქტივების სრული მფლობელობა, ხოლო „Aqualia“-ს საკუთრების უფლება კომუნალური წყალმომარაგების ბიზნესში 80%-ით გაიზარდა.

ზემოთ ხსენებულის შესაბამისად, 2022 წელს სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმი“ და მისმა შვილობილმა საწარმოებმა (შემდგომში „GGU“-ის ჯგუფი“) წამოიწყეს ჯგუფის ფორმირება „GGU“-ის ენერგეტიკული სეგმენტის აქციების ნაწილის „GCAP“-სთვის გადაცემის მიზნით. 2022 წლის ივნისში სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმი“ დააფუძნა 100%-იანი შვილობილი საწარმო სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ და 2022 წლის ოქტომბერში სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმი“ ენერგეტიკული სეგმენტის შვილობილები გადაიტანა ჯგუფში, ამ უკანასკნელის მიერ მისი წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვების სანაცვლოდ. ჯგუფის კაპიტალის ცვლილებებისა და საკუთარი აქციების შეძენის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მე-9 შენიშვნაში „კაპიტალი“.

2022 წლის ოქტომბერში ჯგუფმა დაასრულა საქართველოს სააქციო ბირჟაზე რეგისტრირებული 80 მილიონი აშშ დოლარის უზრუნველყოფილი მწვანე ობლიგაციების გამოშვება.

კორპორატიული მმართველობის ანგარიშგება

5. მმართველი ორგანო და მენეჯმენტი

მეწარმეთა შესახებ კანონის და წესდების თანახმად, აქციონერები უფლებამოსილი არიან მიიღონ გადაწყვეტილებები სხვა საკითხებთან ერთად, აქციონერთა საერთო კრებაზე შემდეგ საკითხებზე (“GMS”):

- ▶ ემიტენტის სააქციო კაპიტალის შეცვლა;
- ▶ წესდებაში ცვლილებების დამტკიცება;
- ▶ ემიტენტის ლიკვიდაცია;
- ▶ ემიტენტის ნებისმიერი შერწყმა, დაყოფა ან სხვა იურიდიულ პირად გადაქცევა;
- ▶ წინასწარი ან ნაწილობრივი გაუქმება წინასწარი - დაცვითი უფლებების შესახებ სააქციო კაპიტალის გაზრდის დროს;
- ▶ სამეთვალყურეო საბჭოს ან / და გენერალური დირექტორის მიერ წინადადებების დამტკიცება მოგების გადანაწილებასთან დაკავშირებით;
- ▶ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და თანამდებობიდან განთავისუფლება და მისი წევრების უფლებამოსილების ვადის განსაზღვრა;
- ▶ სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი დირექტორის მოხსენებების დამტკიცება;
- ▶ შეძენა, გაყიდვა, გადაცემა, გაცვლა (თუ არა ერთი გარიგების ან მასთან დაკავშირებული გარიგების სერიის მეშვეობით) ემიტენტის აქტივებით, ღირებულება აღემატება 20,000,000 (ოცი მილიონი) ლარს;
- ▶ ემიტენტის წლიური ანგარიშების დამტკიცება;
- ▶ გარე აუდიტორის არჩევა ან / და თანამდებობიდან განთავისუფლება; და
- ▶ მეწარმეთა შესახებ კანონისა და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო შედგება მინიმუმ სამი წევრისგან, რომელთაგან თითოეულს ირჩევენ აქციონერთა საერთო კრებაზე აქციონერები. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს მოვალეობის შესრულებისას მოეთხოვებათ იმოქმედონ მისი ბიზნესის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭოს ვალდებულებები სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს შემდეგს:

- ▶ გენერალური დირექტორის დანიშვნა და თანამდებობიდან განთავისუფლება და მისი საქმიანობის კონტროლი;
- ▶ ემიტენტის პოლიტიკის და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტაციის დამტკიცება და შესწორება;
- ▶ ემიტენტის ანგარიშებისა და ქონების შემოწმება, პირადად ან მოწვეული ექსპერტების დახმარებით;
- ▶ ემიტენტის საქმიანობის შესახებ ანგარიშების მოთხოვნა აღმასრულებელი დირექტორისგან (მათ შორის, დაკავშირებული კომპანიების და შვილობილი კომპანიების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით და შიდა აუდიტის ან გარე ინსპექციების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადახედვა);
- ▶ საჭიროების შემთხვევაში რიგგარეშე ზოგადი შეხვედრების მოწვევა;
- ▶ წლიური ანგარიშების განხილვა და წინადადებები მოგების განაწილების შესახებ;
- ▶ წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;
- ▶ მეწარმეთა შესახებ კანონითა და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჯგუფმა, როგორც ანგარიშგების სუბიექტმა, შექმნა აუდიტის კომიტეტი, რომელიც აკონტროლებს ემიტენტის ფინანსური ანგარიშგების სიზუსტეს და უზრუნველყოფს შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობას. აუდიტის კომიტეტი შეიქმნა 2022 წლის 23 სექტემბერს, რომლის თავმჯდომარეა ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი.

6. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი

ანგარიშგების და ბიუჯეტირების დეპარტამენტი პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე. დეპარტამენტმა უნდა წარმოადგინოს არა მხოლოდ ჯგუფის ფინანსური მაჩვენებლების პრეზენტაცია, არამედ მისი საქმიანობის, საოპერაციო გარემოსა და სააღრიცხვო პოლიტიკის აღწერა. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მტკიცდება ფინანსური და გენერალური დირექტორების მიერ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

არაფინანსური რეპორტი

7. არაფინანსური მაჩვენებლები

2022-ის განმავლობაში ჯგუფში შემავალი ქარის და ჰიდროელექტროსადგურები სულ 268,329 მეგავატ საათს ელექტროენერგიას აწარმოებდნენ.

2022 წლის განმავლობაში ჯგუფის მოქმედმა ჰიდროელექტროსადგურებმა აჩვენეს განსაკუთრებული ხელმისაწვდომობის ფაქტორი - 99%-ზე მეტი. ეს საზომი გვიჩვენებს, რამდენად ეფექტურად მუშაობს ელექტროსადგური და რამდენად ხშირად ხდება დაუგეგმავი გაჩერებები გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ხელმისაწვდომობის ფაქტორი გამოითვლება ელექტროსადგურის მუშაობის საათების გაყოფით სრულ სამუშაო დროზე (გეგმიური მოვლის გამო დახარჯული დროის გამოკლებით). ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ვხედავთ, რომ ჯგუფის ელექტროსადგურებისთვის დაუგეგმავი გაჩერებები 1%-ზე ნაკლებია.

ელექტროსადგური	ხელმისაწვდომობა %
მესტიაჭალა 2	99.7%
ახმეტა	99.9%
დებედა	99.2%
კასლეთი 2	99.2%

8. საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი სახსრების მოძრაობის რისკები და მათი მართვის მექანიზმები

სავალუტო რისკი

ეროვნული ვალუტის, ლარის კურსის მერყეობა აშშ დოლართან/ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების სხვა ვალუტებთან მიმართებაში შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის საქმიანობაზე. მისი საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე, ჯგუფს აქვს ერთგვარი ბუნებრივი დაცვა სავალუტო რისკებისგან, რაც დაკავშირებულია სასესხო ვალდებულებებთან, რადგან მისი შემოსავლები, ისევე როგორც მისი სასესხო ვალდებულებები, ძირითადად დენომინირებულია აშშ დოლარში (ფინანსური აქტივები/ვალდებულებები თითო ვალუტაზე ნაჩვენებია ქვეთავში „ფინანსური მდგომარეობა“). ამავდროულად, ჯგუფის შემოსავალი მისი ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებით („PPA“) არის დენომინირებული აშშ დოლარში. გარდა ამისა, მესამე პირებზე გაყიდვები ღია ბაზარზე, როგორც წესი, ტარდება აშშ დოლარში და არა ქართულ ლარში. ეს ეფექტიანად უზრუნველყოფს ჯგუფის ჰეჯირებას ლარის გაუფასურებისგან, რაც განსაკუთრებით ღირებულია აშშ დოლარი/ლარის კურსის 2022 წლის რყევების გათვალისწინებით. გარდა ამისა, მესამე პირზე გაყიდვა ღია ბაზარზე დენომინირებულია აშშ დოლარში ან დაკავშირებულია ESCO-ს საბალანსო ფასთან, რომელიც დამოკიდებულია იმპორტზე დენომინირებულ აშშ დოლარში და PPA ფასზე. 2021-2022 წლებში ჯგუფს ელექტროენერგიის ექსპორტი არ განუხორციელებია და რეალიზაციის 100% ადგილობრივ ბაზარზე მოხდა. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილობრივი ტრანზაქციები იდება ლარში, თუმცა ყველა ხელშეკრულება პირდაპირ თუ ირიბად დენომინირებულია აშშ დოლარში. რამდენადაც საპროცენტო ვალდებულებები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, კერძოდ აშშ დოლარში, ფინანსური ხარჯებიც არის აშშ დოლარში.

ბაზრის რისკები

ჯგუფი ელექტროენერგიას ძირითადად ყიდის ESCO-ს ელექტროენერგიის შესყიდვის გრძელვადიანი ხელშეკრულებების („PPA“) თვალსაზრისით, მაგრამ თვეებში, რომლებსაც PPA არ ფარავს, ჯგუფი იღებს საბაზრო რისკებს, რაც შეიძლება გამოიხატოს ორ ქვერისკში, რომლებიც არის 1) off-taker პოვნის რისკი 2) საბაზრო ფასის რისკი;

არა PPA პერიოდში, ელექტროსადგურებს შეუძლიათ მიყიდონ ელექტროენერგია ორმხრივი ხელშეკრულებით ნებისმიერ მიმღებს ან მიჰყიდონ ESCO-ს, როგორც საბალანსო ელექტროენერგია. DAM-ისა და შიდადღიური ბაზრის („IDM“) ექსპლუატაციის დაწყების შემდეგ, ელექტროსადგურებს ექნებათ ელექტროენერგიის გაყიდვის ორი დამატებითი არხი და თითქმის სრულად იქნება აღმოფხვრილი რისკები. ამჟამად, თუ ელექტროსადგურს არც PPA აქვს და არც ორმხრივი შეთანხმება, მოქმედი ბაზრის წესების მიხედვით, ESCO უხდის მათ ყველაზე დაბალ რეგულირებულ ჰესების ფასს ზაფხულის თვეებში (მაისიდან აგვისტომდე) ან TEC-ის ყველაზე მაღალ ფასს ზამთრის თვეებში (სექტემბრიდან აპრილამდე). 2022 წლის მდგომარეობით, ენგურჰესს აქვს ყველაზე დაბალი რეგულირებადი ფასი 1.857 თეთრი/კვტ/სთ 2021-23 წლებისთვის განსაზღვრული - ორმხრივი ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში ეს იქნება ესკო-ს ანგარიშსწორების ფასი. ბოლო წლების დეფიციტის გათვალისწინებით, ჯგუფი ყოველთვის ახერხებდა ელექტროენერგიის გაყიდვას პირდაპირი ხელშეკრულების მიხედვით როდესაც ესკო-სთვის მიყიდვა 0,1%-ზე ნაკლები იყო. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ბაზრებზე მოცულობებით ვაჭრობა მარტივია DAM-ისა და IDM-ის ამოქმედების შემდეგ. DAM-ისა და IDM-ის ამოქმედება არ იმოქმედებს ESCO-სთან დადებულ PPA - ტარიფებზე, გადახდის სხვა პირობები და ხელშეკრულების ვადა იგივე დარჩება.

ელექტროენერგიის გამომუშავების, განაწილებისა და მიწოდების შესაძლებლობა დამოკიდებულია საქართველოს გადამცემ სისტემაზე.

ელექტროენერგიის განაწილება ჯგუფის სადისტრიბუციო ქსელებზე, ისევე როგორც ელექტროენერგიის განაწილება აბონენტებზე, დამოკიდებულია საქართველოს გადამცემი სისტემების ინფრასტრუქტურაზე. ჯგუფს არ აქვს კონტროლი გადამცემი სისტემის მუშაობაზე და იგი მთლიანად დამოკიდებულია სისტემის ოპერატორზე, რომელიც არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სუბიექტი. საქართველოს გადამცემი სისტემის ნებისმიერმა გაუმართაობამ, მათ შორის ბუნებრივი კატასტროფების, არასაკმარისი ტექნიკური მომსახურების ან არაადეკვატური განვითარების შედეგად, შეიძლება ხელი შეუშალოს ჯგუფს ელექტროენერგიის საბოლოო მომხმარებლისთვის განაწილებაში. შედეგად, გადაცემის სისტემაში ნებისმიერმა წარუმატებლობამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის საქმიანობაზე, ოპერაციების შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონები

ჯგუფი ექვემდებარება სხვადასხვა გარემოსდაცვითი და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონებს და რეგულაციებს, რომლებიც არეგულირებენ, სხვა საკითხებთან ერთად, ჯგუფის ოპერაციებით გამოწვეულ დაბინძურებას და ჯგუფის თანამშრომლების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. ჯგუფი ასევე ვალდებულია მიიღოს გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნებართვები სხვადასხვა სამთავრობო უწყებებისგან თავისი საქმიანობისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ გარემოსდაცვითი კანონები და რეგულაციები მზარდ გავლენას ახდენენ ჯგუფის საქმიანობაზე, შეუძლებელია ზუსტად წინასწარ განჭვრიტოთ ასეთი კანონებისა და რეგულაციების გავლენა ჯგუფის საქმიანობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფმა დაგეგმა მომავალი კაპიტალური და საოპერაციო ხარჯები გარემოსდაცვითი და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმდინარე კანონების შესასრულებლად, შესაძლებელია, რომ რომელიმე ეს კანონი შეიცვალოს, გახდეს უფრო მკაცრი მომავალში ან ახალი კანონები მიიღონ. ნებისმიერ ზემოაღნიშნულს შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი გავლენა ჯგუფის საქმიანობაზე, ოპერაციების შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

9. კორპორატიული და სოციალური პასუხისმგებლობა

ჯგუფის მენეჯმენტი კარგად აცნობიერებს თავის კორპორატიულ პასუხისმგებლობას და თვლის, რომ კომპანიას შეუძლია წვლილი შეიტანოს საზოგადოების მდგრად განვითარებაში. ჯგუფი განიხილავს ძირითად დაინტერესებულ მხარეებს (მომხმარებლებს, აქციონერებს, თანამშრომლებს, კრედიტორებს), რათა შეიმუშაონ ბიზნეს სტრატეგიები და გააუმჯობესონ ოპერაციები.

სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ჯგუფი რეგულარულად ახორციელებს სრულ გარემოსა და სოციალურ მონიტორინგს; აცნობებს სოციალურ პრობლემებს და იღებს მაკორექტირებელ ქმედებებს. კომპანია თანამშრომლობს ცენტრალურ და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მხარს უჭერს და ჯგუფის ფუნქციონირების არეალში აფინანსებს კულტურულ, საგანმანათლებლო და სპორტულ აქტივობებს.

ჯგუფი ექვემდებარება სხვადასხვა გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონებს და რეგულაციებს, რომლებიც არეგულირებენ, სხვა საკითხებთან ერთად, ჯგუფი ოპერაციებით გამოწვეულ დაბინძურებას და ჯგუფის თანამშრომლების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. ჯგუფი ასევე ვალდებულია მიიღოს გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნებართვები სხვადასხვა სამთავრობო უწყებებისგან თავისი საქმიანობისთვის.

ჯგუფმა დაადგინა გარემოსდაცვითი სტანდარტები, რომლებიც ვრცელდება მის საქმიანობაზე. ჯგუფი ყველა მატერიალური თვალსაზრისით აკმაყოფილებს საქართველოს ყველა მოქმედ გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესებს. თუ ჯგუფი არ შეესაბამება ამ რეგულაციებს, ის შეიძლება იყოს პასუხისმგებელი სანქციებზე და/ან სახელმწიფოებრივი ვალდებულებების დარღვევის შედეგებზე.

10. ადამიანის უფლებების დაცვა

ჯგუფში დაცულია ადამიანის ძირითადი უფლებები, მათ შორის შრომითი უფლებები. აღნიშნული უფლებების შესახებ განმარტებებს ვრცელი ადგილი ეთმობა შვილობილი კომპანიების შრომის დებულებებს, რომლებიც შრომის კოდექსთან ერთად ხელმისაწვდომია კომპანიების მინიმუმ ყველა თანამშრომლისთვის.

ჯგუფი სთავაზობს თანაბარი დასაქმების შესაძლებლობებს ყველა კანდიდატს, განურჩევლად რასისა, რელიგიისა, სქესის, ეროვნებისა, ასაკისა და ა.შ. ეს პოლიტიკა ვრცელდება დასაქმების ყველა სიტუაციაზე, მათ შორის: დაქირავება, დაწინაურება, კონტრაქტის გაფორმება, კომპენსაცია, ტრენინგი და სხვა დასაქმების კანონის შესაბამისი ქმედებები.

11. კორუფცია

ჯგუფი თავის ბიზნეს საქმიანობას წარმართავს ეთიკური პრინციპების დაცვით, ასევე მოქმედი შიდა და საერთაშორისო ანტიკორუფციული მოთხოვნებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფის მექრთამეობისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობასა და რეგულაციას და საერთაშორისო სტანდარტებს.

ჯგუფს მექრთამეობისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა კრძალავს ნებისმიერი პირისთვის რაიმე ღირებული სარგებლის გადაცემას ან შეთავაზებას, ისევე როგორც კორუფციული მოტივის მქონე ნებისმიერი პირისგან ნებისმიერი სარგებლის მიღებას ან წახალისებას, როგორიცაა დაუმსახურებელი ჯილდოს ან კეთილგანწყობის გამოყენება. საჯარო მოხელე ან კერძო პირისთვის უკანონო საქმიანი უპირატესობის მოპოვება.

12. პერსონალის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლება

ჯგუფი დიდ ყურადღებას უთმობს პერსონალის მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. ეს ტრენინგები მოიცავს არა მხოლოდ მათ დარგთან დაკავშირებულ და ტექნიკურ, არამედ კროსსეგმენტურ და HS&E-სთან დაკავშირებულ კვალიფიკაციას. ამ ტრენინგების შედეგად თანამშრომლებს შეუძლიათ გაიღრმავონ დარგობრივი ცოდნა და გააფართოვონ სოციალური და გარემოსდაცვითი ხედვა. კვალიფიციურ და კარგად შესრულებულ თანამშრომლებს ემლევათ საშუალება განვითარდნენ და დაწინაურდნენ კომპანიაში.

თანამშრომლების მომზადებით ჯგუფი ქმნის პროფესიონალებს, რომელთა დახმარებითაც გეგმავს სხვადასხვა პროექტების განხორციელებას.

13. ზრუნვა თანამშრომლების უსაფრთხოებაზე

ხშირად ტარდება ტრენინგები, თუ როგორ უნდა შევიწინააღმდეგოთ უსაფრთხო სამუშაო გარემო. თანამშრომლების, კონტრაქტორების, ვიზიტორებისა და ნებისმიერი სხვა დაინტერესებული მხარის უსაფრთხოების დასაცავად, ჯგუფი ახორციელებს სტანდარტებს, რომლებიც გათვალისწინებულია შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შეთანხმებულ პოლიტიკაში. კომპანია ატარებს უსაფრთხოების ყოველთვიურ ანგარიშგებას და ატარებს სხვადასხვა სახის საფრთხის ანალიზს. ყველა ინციდენტი და უბედური შემთხვევა და გამოკვლეული და მაკორექტირებელი მოქმედების პუნქტები დაწესებულია პასუხისმგებელი მხარეების სრული ჩართულობით.

14. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები


ნორმალურ ბიზნეს პირობებში ჯგუფს აქვს იმის რისკი, რომ ქვეყანაში ელექტროენერგიაზე მოთხოვნა შემცირდეს რაც, შესაბამისად, იმოქმედებს საბაზრო ფასებზე. ელექტროენერგიაზე მოთხოვნას ძირითადად საქართველოში ეკონომიკური აქტივობის დონე განაპირობებს. ვინაიდან ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის აშშ დოლარი, ჯგუფი ასევე ექვემდებარება აშშ დოლარის გაუფასურებას ლართან მიმართებაში.

15. სტრატეგიები და სამომავლო განვითარება

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი („GRPH“ ან „მშობელი“) გეგმავს საშუალოვადიან პერსპექტივაში 172 მეგავატი დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგურების აშენებას: ზოტი ჰესი (46 მეგავატი), თბილისისა და კასპის ელექტროსადგურები (108 მეგავატი) და დარჩი ჰესი (18 მეგავატი). ჯგუფი მიზნად ისახავს განახლებადი ენერგიის პლატფორმის შექმნას დოლართან დაკავშირებული მზარდი ფულადი ნაკადებით და მომგებიანობით.

შენიშვნა*: ჯგუფი არ იყო ჩართული კვლევისა და განვითარების (R&D) საქმიანობაში 2022 წელს.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ სახელით 2023 წლის 11 მაისს:



ზურაბ გორდინი
გენერალური დირექტორი

ჯგუფს მექრთამეობისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა კრძალავს ნებისმიერი პირისთვის რაიმე ღირებული სარგებლის გადაცემას ან შეთავაზებას, ისევე როგორც კორუფციული მოტივის მქონე ნებისმიერი პირისგან ნებისმიერი სარგებლის მიღებას ან წახალისებას, როგორცაა დაუმსახურებელი ჯილდოს ან კეთილგანწყობის გამოყენება. საჯარო მოხელე ან კერძო პირისთვის უკანონო საქმიანი უპირატესობის მოპოვება.

12. პერსონალის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლება

ჯგუფი დიდ ყურადღებას უთმობს პერსონალის მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. ეს ტრენინგები მოიცავს არა მხოლოდ მათ დარგთან დაკავშირებულ და ტექნიკურ, არამედ კროსსეგმენტურ და HS&E-სთან დაკავშირებულ კვალიფიკაციას. ამ ტრენინგების შედეგად თანამშრომლებს შეუძლიათ გაიღრმავონ დარგობრივი ცოდნა და გააფართოვონ სოციალური და გარემოსდაცვითი ხედვა. კვალიფიციურ და კარგად შესრულებულ თანამშრომლებს ეძლევათ საშუალება განვითარდნენ და დაწინაურდნენ კომპანიაში.

თანამშრომლების მომზადებით ჯგუფი ქმნის პროფესიონალებს, რომელთა დახმარებითაც გეგმავს სხვადასხვა პროექტების განხორციელებას.

13. ზრუნვა თანამშრომლების უსაფრთხოებაზე

ხშირად ტარდება ტრენინგები, თუ როგორ უნდა შევინარჩუნოთ უსაფრთხო სამუშაო გარემო. თანამშრომლების, კონტრაქტორების, ვიზიტორებისა და ნებისმიერი სხვა დაინტერესებული მხარის უსაფრთხოების დასაცავად, ჯგუფი ახორციელებს სტანდარტებს, რომლებიც გათვალისწინებულია შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შეთანხმებულ პოლიტიკაში. კომპანია ატარებს უსაფრთხოების ყოველთვიურ ანგარიშგებას და ატარებს სხვადასხვა სახის საფრთხის ანალიზს. ყველა ინციდენტი და უბედური შემთხვევა და გამოკვლეული და მაკორექტირებელი მოქმედების პუნქტები დაწესებულია პასუხისმგებელი მხარეების სრული ჩართულობით.

14. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ნორმალურ ბიზნეს პირობებში ჯგუფს აქვს იმის რისკი, რომ ქვეყანაში ელექტროენერგიაზე მოთხოვნა შემცირდეს რაც, შესაბამისად, იმოქმედებს საბაზრო ფასებზე. ელექტროენერგიაზე მოთხოვნას ძირითადად საქართველოში ეკონომიკური აქტივობის დონე განაპირობებს. ვინაიდან ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის აშშ დოლარი, ჯგუფი ასევე ექვემდებარება აშშ დოლარის გაუფასურებას ლართან მიმართებაში.

15. სტრატეგიები და სამომავლო განვითარება

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი („GRPH“ ან „მშობელი“) გეგმავს საშუალოვადიან პერსპექტივაში 172 მეგავატი დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგურების აშენებას: ზოტი ჰესი (46 მეგავატი), თბილისისა და კასპის ელექტროსადგურები (108 მეგავატი) და დარჩი ჰესი (18 მეგავატი). ჯგუფი მიზნად ისახავს განახლებადი ენერგიის პლატფორმის შექმნას დოლართან დაკავშირებული მზარდი ფულადი ნაკადებით და მომგებიანობით.

შენიშვნა*: ჯგუფი არ იყო ჩართული კვლევისა და განვითარების (R&D) საქმიანობაში 2022 წელს.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ სახელით 2023 წლის 11 მაისს:



2023 წლის 16 ივნისი

**სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“
პასუხისმგებელი პირების განცხადება**

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 11.3(გ) მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ 2022 წლის 12 ოქტომბერს სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404642892, შემდგომში „ემიტენტი“) მიერ 80 (ოთხმოცი) მილიონი აშშ დოლარის ოდენობის მწვანე უზრუნველყოფილი ობლიგაციების (საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი (ISIN): GE2700604186; სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: GE 2700604186-01) საჯარო ემისიასთან დაკავშირებით „ემიტენტის“ არსებული ვალდებულებების ფარგლებში მომზადებული აუდიტებული წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება არის სრული, სწორი და სამართლიანი.

ზურაბ გორდეზიანი

სს „საქართველოს განახლებადი
ენერგიის ოპერაციების“
გენერალური დირექტორი

ავთანდილ ნამიჩიეშვილი

სს „საქართველოს განახლებადი
ენერგიის ოპერაციების“
სამეთვალყურეო საბჭოს
თავმჯდომარე